

მამუკა ბარამიძე

**ტრანსპორტის ეფექტური ფუნქციონირების
პრობლემების კვლევა ლოჯისტიკურ სისტემებში.**

ტრანსპორტის დარგში ინჟინერიის დოქტორის (0407)
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ფრიდონ გოგიაშვილი
სამეცნიერო თანახელმძღვანელი: ასოც. პროფესორი გოჩა ლეკვეიშვილი

ქუთაისი, 2017 წ.

სარჩევი

შესავალი-----	5
თავი 1. განშტოვებულ მარშრუტებზე ტვირთების გადაზიდვის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მდგომარეობა-----	10
1.1 მცირე პარტიებით ტვირთების გადაზიდვის სფეროში სამეცნიერო კვლევების მიმოხილვა-----	10
1.2 ტვირთების მცირე პარტიებით გადაზიდვის პროცესში მარშრუტიზაციის ამოცანის ამოხსნის მეთოდების ანალიზი-----	17
1.3 საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის საექსპლუატაციო ხარისხი-----	22
1.4 1-ელი თავის დასკვნები-----	26
თავი 2. ტვირთების მცირე პარტიებით გადაზიდვის პროცესის კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფა-----	27
2.1 ამოცანის ამოხსნის ალგორითმის დამუშავება-----	27
2.2 „ფიქტიური განშტოებების“ მეთოდით ამოცანების ამოხსნის მეთოდოლოგიის სრულყოფა-----	31
2.3 ძარის ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტის გავლენა გადაზიდვების ეფექტურობაზე -----	43
2.4 2-ე თავის დასკვნები-----	53
თავი 3. მცირე პარტიებით მიწოდებისას მარშრუტების გაერთიანების მოდელის დამუშავება-----	54
3.1 ორი მწარმოებლიდან ტვირთების ერთობლივად დარიგების თეორიის სრულყოფა -----	54
3.2 მიწოდების პუქტების განსაზღვრა და მარშრუტების გაერთიანების ეკონომიკური შეფასება-----	65
3.3 გადაზიდვის პროცესის ორგანიზაციის ეფექტურობის შეფასება-----	68
3.4 3-ე თავის დასკვნები-----	76

თავი 4. . ტვირთების მცირე პარტიებით მიწოდების ექსპერიმენტალური კვლევები-----	78
4.1 ექსპერიმენტის მიზანი და ამოცანები-----	78
4.2 კვლევის ობიექტის ამორჩევა და აღწერილობა-----	79
4.3 ექსპერიმენტალური კვლევების ჩატარების მეთოდოლოგია-----	81
4.4 გაერთიანებული მარშრუტების მოდელირება და მისი ეფექტურობის შეფასება--	86
4.5 „ფიქტიური შტოების“ მეთოდის გამოყენების ეფექტურობის შეფასება -----	88
4.6 მე-4 თავის დასკვნები-----	96
ძირითადი დასკვნები-----	101
ლიტერატურა-----	102
დანართი-----	117

შესავალი

ერთიან სატრანსპორტო სისტემაში საავტომობილო ტრანსპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მისი წილი კიდევ უფრო დიდია ქვეყნის სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე. ქვეყნების ნებისმიერი ეკონომიკური მოწყობის დროს ტრანსპორტის ფუნქციონირების ძირითადი ამოცანა იყო და რჩება მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება სატრანსპორტო მომსახურებით, როგორც ინდივიდუალური, ასევე სამრეწველო მიზნით. აღნიშნული ვრცელდება, როგორც სატვირთო გადაზიდვებზე, ასევე მგზავრთა გადაყვანაზე საქალაქო, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მარშრუტებზე.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე დონე მნიშვნელოვნად არის განპირობებული სატრანსპორტო სისტემების განვითარების მზარდი ტემპით. დღეისათვის გაზრდილია სატვირთო გადაზიდვების მოცულობა. ამ კუთხით საავტომობილო ტრანსპორტის როლი კიდევ უფრო იზრდება, რადგან ლოგისტიკის თანამედროვე მიდგომებიდან გამომდინარე სატვირთო გადაზიდვებში დიდ როლს იკავებს გადაზიდვები „ზუსტად დროში“.

განსაკუთრებით იზრდება ტვირთების გადაზიდვის მოცულობა საქალაქო პირობებში. იმისათვის, რომ მოვახდინოთ სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მონაცემების ოპტიმალურად გამოყენება და უზრუნველვყოთ დანახარჯების დაბალი დონე, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ საქალაქო ქსელის მარშრუტიზაცია და სრულად და მაღალი ხარისხით დავაკმაყოფილოთ მოთხოვნები სატრანსპორტო მომსახურებაზე.

აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა საჭიროა გადაზიდვის პროცესის ეფექტური მართვისათვის. თუ ადრე პერიოდში საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების შეფასების კრიტერიუმი იყო გადაზიდვის გეგმის შესრულება, დღეისათვის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმის წარმოადგენს ტვირთის მიტანა დანიშნულების ადგილზე. საჭირო რაოდენობით და საჭირო ხარისხით, დანიშნულ დროზე მინიმალური დანახარჯებით.

ზემოთაღნიშნული ფუნქციების შესრულება შეუძლებელია გადაზიდვების

პროცესებისადმი კომპლექსური ლოგისტიკური მიდგომების გარეშე. მკაცრი კონკურენციის პირობებში სატრანსპორტო საწარმოები ორიენტირებული უნდა იყოს არა მარტო მოგების მიღებაზე, არამედ მათ მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და სრულად აკმაყოფილებდეს მომხმარებლის მოთხოვნებს. სისტემა უნდა იყოს მოქნილი და რეაგირებდეს სატრანსპორტო ბაზრის მოთხოვნებზე.

ნებისმიერი საწარმოს ეკონომიკურად სწორად განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს საწარმოში სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირება. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ანალიზი აჩვენებს, რომ სატრანსპორტო სისტემის სხვა შემადგენელ ნაწილებისაგან განსხვავებით, ის ძირითადად ახდენს ტვირთების გადაადგილებას მცირე პარტიებით. მზარდი კონკურენცია, როგორც წარმოების, ასევე მომარაგების და გასაღების სფეროში კიდევ უფრო საჭიროს ხდის საავტომობილო ტრანსპორტის ზემოთაღნიშნული ფუნქციის განვითარებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მნიშვნელოვნად არის შეცვლილი სავაჭრო ქსელი, სადაც ტვირთების მიწოდებისათვის ფართო სპექტრის სამუშაოები არის ჩასატარებელი (მოთხოვნის შესწავლა, მიწოდება, დასაწყობება, მარკირება და ა.შ.).

სავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების განვლილი პერიოდის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოპერირებაში ძირითადად ჩართული იყვნენ ინჟინრები და ეკონომისტები. დღევანდელი მდგომარეობა კი გვკარნახობს, რომ ტვირთნაკადების გადაადგილებისათვის, მათ შორის მცირე პარტიებად სავაჭრო ქსელში, საჭიროა მოვახდინოთ გადაზიდვების პროცესების თეორიული კვლევა, შევქმნათ მოქნილი მიკროლოგისტიკური სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ტვირთების მიტანას მომხმარებლამდე მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად.

კვლევის აქტუალობა. ავტომობილიზაციის ზრდის თანამედროვე პროცესი მნიშვნელოვნად ახდენს საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ ამავე დროს საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის სიცოცხლისუნარიანობას, ამიტომ განვითარების თანმხვედრად უნდა ხდებოდეს თანმდევი პროცესების დაგეგმვა, რაც უსაფრთხოს გახდის ავტოტრანსპორტს გარემოსათვის.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება ამცირებს

მისაწოდებელი ტვირთის პარტიების სიდიდეს, რაც განპირობებული არის ბაზარზე მცირე და საშუალო სიდიდის მეწარმეობის განვითარებით. შესაბამისად, სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე იზრდება მოთხოვნები ტვირთების შიგა საქალაქო მარშრუტებზე გადაადგილებისა, შეინიშნება სავაჭრო წერტილების ზრდა და უწყდება მკაცრი მოთხოვნები პროდუქციის მიწოდება „ზუსტად დროში“. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დასახლებულ პუნქტებში არსებული სავაჭრო წერტილები მოთხოვნებს აწესებენ არა მარტო მიწოდების კუთხით, არამედ ასორტიმენტის მხრივ. შესაბამისად ამ საკითხის დადებითად გადაჭრა შესაძლებელია სხვადასხვა მწარმოებელთან კავშირში.

საკითხის სირთულიდან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულებით შესრულებულია საკმაო რაოდენობის კვლევა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული სფერო სწრაფად მზარდია და ტვირთების გადაადგილების ეფექტურობის კვლევაც არ არის სრულყოფილი. ამიტომ საჭირო არის ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული გადაწყვეტები, გადაზიდვების პროცესების მოდელების ოპტიმიზაცია. ამ კუთხით კვლევები აქტუალურია და წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას აღნიშნული საკითხის გადაჭრისას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი – საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების მცირე პარტიებად გადაზიდვის არსებული ორგანიზაციული სისტემების კვლევა და არსებული მეთოდების სრულყოფა.

მიზნების მისაღწევად დაისვა და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

- დამუშავებულია „განშტოების და საზღვრების“ მეთოდის სრულყოფის მეთოდიკა და კომპიუტერული პროგრამა მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის;
- შექმნილი არის შერეული მარშრუტის მოდელი ტვირთების გადაადგილებისათვის ორი მწარმოებლიდან;
- შემოთავაზებულია ავტომობილის დამატებით დატვირთვის მიზანშეწონილობის მაჩვენებელი;
- დამუშავებულია მეთოდიკა, რომელიც განსაზღვრავს მარშრუტის იმ პუნქტს, სადაც უნდა მოხდეს ავტომობილის შესვლა დამატებითი ტვირთისათვის;
- ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევები და შეფასებულია მიღებული შედეგების ეფექტურობა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის მცირე პარტიებად ტვირთების გადაზიდვის პროცესი რამდენიმე მიმწოდებლისაგან.

სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტით მცირე პარტიებად ტვირთების გადაადგილების ეფექტურობის გაზრდა შემდეგი დებულებებით და გადაწყვეტილებებით, რომელიც გამოტანილია დასაცავად.

- „განშტოებების და საზღვრების“ მეთოდის სრულყოფა მარშრუტიზაციის ავმოცანის გადასაწყვეტად მცირე პარტიებად ტვირთების გადაადგილების დროს სავაჭრო ქსელში;
- მათემატიკური მოდელი, მეთოდიკა, მისი გამოყენება და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ორი მიმწოდებლიდან ტვირთების გადაადგილების დროს რაციონალური მარშრუტის შედგენა;
- გადაზიდვის პროცესის ეფექტურობის შემფასებელი კოეფიციენტი მარშრუტების შერჩემის დროს მცირე პარტიებად ტვირთების გადაადგილებისას.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. შემოთავაზებული მეთოდიკები, მათემატიკური მოდელი და პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას გვაძლევს უზრუნველყოთ გადაზიდვის მარშრუტების დაგეგმვის დროს პუნქტების ჩამოვლის ოპტიმალური გზა. ეს საშუალებას გვაძლევს შერეულ მარშრუტებზე მოძრაობისას შევამციროთ ავტომობილის უქმი გარბენი და შესაბამისად გავზარდოთ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

კვლევის შედეგების რეალიზაცია.

მიღებული სამეცნიერო, პრაქტიკული და ეკონომიკური შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული საწარმოებისა და მწარმოებლებისათვის. სადისერტაციო ნაშრომის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესში მიმართულებისათვის „გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა ტრანსპორტზე“ და „სატრანსპორტო ლოგისტიკა“.

სამუშაოს აპრობაცია.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი დებულებები და შედეგები წარმოდგენილი იყო სამეცნიერო მოხსენებებსა და გამოსვლებში: საერთაშორისო კონფერენციაზე „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები.“ (ქ. ბათუმი 2015, 2016 წწ.);

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე MOTAUTO 2015 (ქ. სოფია, ბულგარეთი 2015 წ.); XIX საერთაშორისო კონფერენციაზე „საზღვაო ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა“ (ქ. რიგა, ლატვია, 2017 წ.); საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე MOTAUTO 2017 (ქ. ბურგასი, ბულგარეთი 2017 წ.); აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ყოველწლიურ სამეცნიერო-ტექნიკურ სემინარებზე (ქ. ქუთაისი 2015, 2016, 2017 წწ.).

პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებულია 6 ნაბეჭდი ნაშრომი, მათ შორის 3 საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და მიღებულია ერთი დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.

სტრუქტურა და სამუშაოს მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავლისაგან, ოთხი თავისაგან, ძირითადი შედეგებისაგან, დასკვნებისაგან და დანართისაგან. შეიცავს 116 გვერდს, 49 ცხრილს, 39 ნახაზს და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს 142 ერთეულს.

თავი 1. ჩამორიგებით მარშრუტებზე ტვირთების გადაზიდვის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მდგომარეობა

1.1. მცირე პარტიებით ტვირთების გადაზიდვის შესახებ შესრულებული კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

გადაზიდვის პროცესის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა გადაიჭრას მარშრუტიზაციის ამოცანა. სატრანსპორტო სისტემების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაკლებად არის შესრულებული სამუშაოები, რომელიც შეისწავლიდა საკითხებს მარშრუტების დონეზე [5]. გადაზიდვების ტექნოლოგიაში არსებობს ტვირთების გადაზიდვის რამდენიმე სახე. მათ შორის მნიშვნელოვანია გადაზიდვა სრულად დატვირთული ავტომობილით და ტვირთების გადაზიდვა მცირე პარტიებით.

სრულად დატვირთული ავტომობილით ტვირთების გადაზიდვის დროს ცნობილია მარშრუტის სამი სახე: ქანქარისებური, წრიული და რადიალური, ხოლო მცირე პარტიებად ტვირთების გადაადგილების დროს მარშრუტები არსებობს ჩამორიგებითი, კრებითი და კრებით-ჩამორიგებითი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს წრიული მარშრუტის ნაირსახეობას.

ტვირთების გადაადგილების დროს მარშრუტების სქემების შერჩევა დამოკიდებული არის: დატვირთვა-განტვირთვის პუნქტების ადგილმდებარეობაზე, გადასაზიდი ტვირთის პარტიის სიდიდეზე, გადაზიდვის პირობებზე, მოძრავი შემადგენლობის ტვირთამწეობაზე და ავტოსატრანსპორტო საწარმოს მდებარეობაზე [21].

ქანქარისებურ მარშრუტზე მოძრაობის დროს ტვირთის გადაზიდვა ხდება ორ პუნქტს შორის (დატვირთვისა და განტვირთვის პუნქტები). ამ შემთხვევაში პირდაპირი მიმართულებით ავტომობილი მოძრაობს ტაირთით, ხოლო უკუ მიმართულებით ცარიელ მდგომარეობაში, ანუ ასრულებს უქმ სვლას. კარგი შემთხვევაა, როცა ასეთი ტიპის მარშრუტზე მოძრაობის დროს მოძრავი შემადგენლობა მოძრაობს ასევე დატვირთული. მაშინ უქმი გარბენი ნულის ტოლია. ასევე შესაძლებელია მოძრავი შემადგენლობა უკუგზაზე მოძრაობდეს ნახევრად

დატვირთული [20,21].

დიდი მოცულობის გამანაწილებელი ცენტრების დაფუძნებამ გამოიწვია ის, რომ გაჩნდა გადამზიდავები, რომლებიც ტვირთებს გადაიტანენ დიდი პარტიებით ქანქარისებური მარშრუტების გამოყენებით, მაგრამ ასეთი მარშრუტების გამოყენება ხშირად არ არის ეკონომიკურად ეფექტური. ამიტომ მისი შეცვლა ხდება ე.წ. წრიული მარშრუტებით, სადაც გარკვეულწილად გამორიცხული არის უქმი გარბენი, რადგან წრიული მარშრუტი წარმოადგენს ჩაკეტილ კონტურს საწყისსა და საბოლოო პუნქტს შორის.

რადიალურ მარშრუტებზე ტვირთების გადაზიდვის დროს ხდება გადაზიდვა საწყისი პუნქტიდან პერიფერიებზე ერთი ან რამდენიმე მიმართულებით. ავტომობილების მუშაობის ორგანიზება ასეთ შემთხვევებში გაცილებით გართულებულია, რადგან ცენტრალურ ნაწილში ხდება მათი მოძრაობის მარშრუტების გადაკვეთა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ტვირთების გადაზიდვას მცირე პარტიებად, საავტომობილო ტრანსპორტში მცირე პარტიების ტვირთად ითვლება ტვირთის პარტიის წონა 10-დან 200 კგ-მდე [14]. ასეთი ტიპის გადაზიდვები ძირითადად შეეხება სოციალურად მნიშვნელოვან ტვირთებს, სასურსათო საქონელს, საყოფაცხოვრებო მომსახურების ტვირთებს, ფოსტას და ა.შ. მცირე გზავნილში იგულისხმება ტვირთი, რომელიც მიღებულია გადასაზიდად ერთი მისამართით და ვერ ტვირთავს სატრანსპორტო საშუალებას სრულად. ამიტომ ასეთი ტვირთების გადაადგილება მიზანშეწონილია განხორციელდეს ჩამორიგებითი მარშრუტის სქემის მიხედვით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში იზრდება სავაჭრო წერტილების რაოდენობა. შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება სატრანსპორტო ბაზარზე იმისა, რომ ეს ობიექტები მომარგებულ იქნას უწყვეტად მცირე ზომის სატვირთო ნაკადებით, რადგან გაზრდილია მოთხოვნილება ნომენკლატურაზე. სასარგებლოა ტვირთის პარტიების ფორმირება მოხდეს სწორედ მოთხოვნილი ნომენკლატურის მიხედვით.

ჩამორიგებითი მარშრუტები ძირითადად გამოიყენება შიგასაქალაქო გადაზიდვების დროს. ასეთი გადაზიდვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სურსათის გადაზიდვა სავაჭრო ქსელში. ასეთი სახის ტვირთების

გადაზიდვის დროს მნიშვნელოვანი ამოცანა არის მოძრავი შემადგენლობის შერჩევის საკითხი. როგორც წესი ძირითადად გამოიყენებენ ავტომობილ-ფურგონებს ან საერთო დანიშნულების ბორტიან ავტომობილებს, თუმცა გადაზიდვის პროცესის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული თუ რა საექსპლუატაციო მაჩვენებლების საავტომობილო ტექნიკა იქნება შერჩეული სატრანსპორტო პროცესის შესასრულებლად. დღეისათვის გამოყენებული მოძრავი შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითადად ასეთი გადაზიდვების დროს გამოიყენება ავტომობილებით ტვირთამწეობით ორ ტონამდე (დაახლოებით 45%). იმის გამო, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ქალაქების საზღვრების ერთმანეთთან დაახლოებამ გამოიწვია ასეთი ტიპის გადაზიდვების შესრულების აუცილებლობა საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მოძრაობის დროსაც, მათი მაღალი ეკონომიკური ეფექტურობიდან გამომდინარე.

მცირე პარტიებად გადასაზიდი ტვირთი სხვა სახის ტვირთებისაგან განსხვავებით გამოირჩევა განსაკუთრებული ნიშნებით. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს რეალიზაციის დრო (მაგ. პური, რძე და ა.შ.), გადაზიდვის დაგეგმვის სირთულე, რადგან გადასაზიდი პარტიები შეიცავენ დიდ ასორტიმენტს. ამიტომ პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო არის წინასწარი მარკეტინგული კვლევების ჩატარება.

ზემოთ აღწერილი საკითხების შესწავლას და მათ ეკონომიკურ დასაბუთებას ვხვდებით მრავალი ავტორის კვლევებში. მათ შორის მნიშვნელოვანია ბ.ლ. გერონიმუსი, ვ.ა. გულკოვი, ლ.ბ. მიროტინი, ს.ე. ეილონი, ტ. გასკელი და სხვა.

მცირე პარტიებად ტვირთების გადაზიდვა ძვირადღირებული პროცესია. კვლევები აჩვენებს, რომ ხშირად მათი ღირებულება უტოლდება ან მეტი არის დიდი მოცულობის ტვირთების გადაზიდვისა იგივე მანძილზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მცირე პარტიებად ტვირთების გადაზიდვა შეადგენს საერთო სატრანსპორტო მუშაობის 3%-ს, ხოლო ხარჯი 35%-ს, მაშინ ცხადი გახდება, თუ რამდენად განსხვავებული არის შედეგი. გადაზიდვის დროს მარშრუტების არასწორად შერჩევა იწვევს ავტომობილის გარბენის ზრდას და ეს ზრდა ხშირად 30%-ზე მეტია.

თავის შრომებში ზოგიერთი ავტორი [11,12] გამოყოფს სხვადასხვა ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს მოძრავი შემადგენლობის მუშაობის ეფექტურობაზე.

ამიტომ აქცენტი გადატანილი არის ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ვ.ი. ნიკოლინის კვლევების მიხედვით ჩამორიგებითი მარშრუტების მიმართ სისტემური მიდგომით ირკვევა, რომ მათ აქვთ რთული სტრუქტურა. აქ შეინიშნება რამდენიმე წრიული, ან წრიული და ქანქარისებური მარშრუტების კომბინაცია ცენტრალური ან რამდენიმე დატვირთვის პუნქტის არსებობის შემთხვევაში. ამავე ნაშრომში არის განხილული თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მახასიათებლებს სისტემის ეფექტურობაზე. ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს სრულად დატვირთული ავტომობილით და მცირე პარტიებად ტვირთის გადაზიდვის თავისებურებებსაც.

ა.ი. ტიურის სამუშაოში [104] შემოთავაზებულია ჩამორიგებითი მარშრუტის გამოყენების კოეფიციენტი K_{Cam} , რომელიც განისაზღვრება შემდეგი სახით.

$$K_{Cam} = \frac{L_{qan}}{L_{wr}} \quad (1.1)$$

სადაც L_{qan} – არის გარბენი ქანქარისებურ მარშრუტზე, კმ;

$L_{წრ.}$ – არის გარბენი წრიულ მარშრუტზე, კმ.

კვლევების პროცესში მიღებულ იქნა დამოკიდებულება ჩამორიგების პუნქტების რაოდენობასა და K_{Cam} კოეფიციენტს შორის.

$$K_{Cam} = \frac{\Pi_{Cam}}{a\Pi_{Cam} + b} \quad (1.2)$$

სადაც a და b არის პროპორციულობის კოეფიციენტი.

აღნიშნული ფარდობიდან ჩანს, რომ არსებობს ეჭვი, როგორი არის წილადურ-წრფივი დამოკიდებულება კოეფიციენტსა და პუნქტების რაოდენობას შორის, ასევე როგორი არის აღნიშნული კოეფიციენტის გამოთვლის სიზუსტე.

მცირე პარტიებად ტვირთების ობიექტზე მიტანის სატრანსპორტო პროცესების თეორიის განვითარებაში მეტი ყურადღება გადატანილი არის მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების კვლევის კუთხით.

ტვირთების გადაზიდვის დროს სატრანსპორტო საშუალების (ასს)-ს სატრანსპორტო მუშაობა, რომელიც სრულდება დროის ერთეულში, წარმოადგენს მწარმოებლურობას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ საავტომობილო ტრანსპორტზე საექსპლუატაციო ხარჯები დაკავშირებული არის ავტომობილის გარბენთან. პრაქტიკაში მიღებულია, რომ სატვირთო ავტომობილის მიერ

შესრულებული მუშაობა გამოისახოს ტონებში ან ტონა-კილომეტრებში. თუმცა თავის შრომებში [20, 21, 22] პროფესორი ა.ი. ვორკუტი ამტკიცებს, რომ ჩამორიგებით მარშრუტზე არ შეიძლება შემფასებელ სიდიდედ ავიღოთ ტონა-კილომეტრი, რადგან ტვირთბრუნვა ამ შემთხვევაში განისაზღვრება ჩამოსარიგებელი პუნქტების რაოდენობით და ტვირთამწეობით, რომელზედაც დამოკიდებული არის მარშრუტზე პუნქტების რაოდენობა. ცხადია, ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ საათური მწარმოებლობა. ჩატარებული ექსპერიმენტებიდან გამომდინარე, ავტორმა მიუთითა, რომ ჩამორიგებით მარშრუტებზე გარბენის გამოყენების კოეფიციენტი და ტვირთამწეობის გამოყენების დინამიკური კოეფიციენტი არ შეიძლება მიღებულ იქნას ოპტიმალური მარშრუტის შერჩევის მაჩვენებლად.

ავტომობილის საათური მწარმოებლობის გამოსათვლელ ფორმულას აქვს სახე [12, 13, 58].

$$W_{ar} = \frac{q\gamma_c V_T \beta_e}{L_{er} + t_{np} V_T \beta_e} \quad (1.3)$$

სადაც W_{ar} – საათური მწარმოებლობა, ტ/სთ;

q – ნომინალური ტვირთამწეობა, ტ;

γ_c – ტვირთამწეობის გამოყენების სტატიკური კოეფიციენტი;

V_T – ავტომობილის ტექნიკური სიჩქარე, კმ/სთ;

L_{er} – ტვირთიანი გარბენის სიგრძე, კმ;

t_{np} – ავტომობილის დგომის დრო დატვირთვა-განტვირთვის პროცესის შესასრულებლად; სთ;

β – სატრანსპორტო საშუალების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი.

ზემოთ მოყვანილ ტოლობას შეიძლება მივცეთ სახე:

$$W_{ar} = q\gamma_c \left(\frac{1}{\frac{L_0}{V_T} + t_{np}} \right), \quad (1.4)$$

სადაც L_0 – ავტომობილის საერთო გარბენია, კმ.

რაც უფრო მეტია ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით მეტია ავტომობილის მწარმოებლურობა. კოეფიციენტი γ_c პირდაპირ არის დამოკიდებული გადასატანი ტვირთის კლასზე. აღნიშნული კოეფიციენტის გაზრდა

შეიძლება მოვახდინოთ შემდეგი ღონისძიებების შედეგად [4]:

- მოძრავი შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს გადაზიდვის პირობებს;
- მცირე პარტიებად არსებული ტვირთების დახარისხება და დამსხვილება;
- ტვირთი აუცილებლად კარგად უნდა ეტეოდეს ძარას ზომებში;
- ავტომობილების გამოყენება ძარას გაზრდილი მოცულობით;
- არსებული ბორტების გარდაქმნის (სახეცვლილების) შესაძლებლობა.

დატვირთვა-განტვირთვის დროის სიდიდე დამოკიდებულია ოპერაციების ჩატარების მექანიზაციის დონეზე. ამიტომ შემკრებ-ჩამორიგებითი მარშრუტების დაგეგმვის დროს ძირითად აქცენტს აკეთებენ გადასაზიდი ტვირთის სიდიდეზე q , მთლიან გარბენზე L_0 და ტექნიკურ სიჩქარეზე V_T . უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური სიჩქარე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მწარმოებლურობაზე, რადგან იზრდება სასარგებლო მუშაობის მიდიდე და მცირდება საჭირო მოძრავი შემადგენლობის რაოდენობა. თუმცა რეალურ პირობებში გადაადგილების დროს გზების გამტარუნარიანობის გამო ადგილი აქვს სიჩქარეების გაუთვალისწინებელ ვარდნას, ამასთან ერთად დაუშვებელია სიჩქარეების გადაჭარბებაც. ამიტომ მთელი მარშრუტის სიგრძეზე ღებულობენ, რომ ტექნიკური სიჩქარე არის მუდმივი სიდიდე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტომობილის მწარმოებლურობა წარმოადგენს გადატანილი ტვირთის და საერთო გარბენის ფუნქციას

$$W_{ar}=f(qL_0), \quad (1.5)$$

უნდა აღინიშნოს, რომ გადაზიდვის ორგანიზაციის ეფექტურობა დამოკიდებული არის არა მარტო მწარმოებლურობაზე, არამედ სატრანსპორტო საშუალების წონაზე (გამართულ მდგომარეობაში). რაც უფრო მცირეა ეს წონა, მით ნაკლებია დანახარჯი ერთი ტონა ტვირთის გადაზიდვაზე. დღეისათვის, როდესაც საწვავის ფასი საკმაოდ მაღალია, მოიმატა თვით ავტომობილის გადაადგილებაზე გაწეულმა დანახარჯებმა. ავტომობილის თეორიაში ეს ხარჯი გაითვალისწინება მხოლოდ ირიბად β კოეფიციენტის საშუალებით.

გადაზიდვების პროცესების ორგანიზების დროს საჭიროა მოვახდინოთ არარაციონალური უქმი გარბენების მინიმიზაცია, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვან მიდიდეს წარმოადგენს ავტომობილის საერთო გარბენში.

ჩამორიგებითი მარშრუტების ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს მოძრავი შემადგენლობის გადაადგილების მარშრუტებზე ტვირთების დამატება სხვადასხვა მწარმოებლებისაგან. ეს საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ჩამორიგების პუნქტებს შორის უქმი გარბენის სიდიდე და მთლიანობაში გავზარდოთ შრომისნაყოფიერება. მარშრუტების მთელ სიგრძეზე ასეთი ღონისძიებების გატარების თეორიული საფუძვლები სრულად არ არის შესწავლილი. ამავე დროს კვლევის საგანია, თუ რამდენად არის შესაძლებელი სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის მარშრუტების გაერთიანება ერთ მთელად. ამიტომ გადაწყვეტილების მიღების წინ აუცილებელია ყველა ფაქტორის გათვალისწინება.

1.2. მცირე პარტიებად ტვირთების გადაზიდვის დროს მარშრუტიზაციის ამოცანის ამოხსნის მეთოდების ანალიზი

ტვირთების მცირე პარტიებად გადაზიდვის ორგანიზაცია გულისხმობს ისეთი ამოცანების ამოხსნას, რომელიც საბოლოოდ წარმოდგება, როგორც ოპტიმიზაციის ამოცანა.

მარშრუტიზაციის ამოცანა შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახით: მოცემული არის ტვირთგამგზავნების და ტვირთების მიმღებების განლაგების ადგილი; გადასაზიდი და ობიექტებზე შესატანი ტვირთების მოცულობები; მოძრავი შემადგენლობა; სატრანსპორტო ქსელი და ქსელში მოძრაობის რეჟიმი. საჭირო არის ვიპოვოთ ერთმანეთთან მოწესრიგებულად დაკავშირებული პუნქტების სიმრავლე, რომელიც ახდენს მარშრუტის ფორმირებას და ტვირთების მიტანა მოვახდინოთ ისე, რომ მივაღწიოთ მიზნის ფუნქციის ოპტიმალურ მნიშვნელობას. აუცილებელია გავითვალისწინოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის საკითხები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაზიდვის დროის სიდიდეზე. დატვირთვის i -ურ პუნქტში, როდესაც ხდება ავტომობილის დატვირთვა ფაქტიურზე ნაკლებად, მარშრუტიზაციის ამოცანა წარმოადგენს რთულ მათემატიკურ პრობლემას, რომელიც უნდა ამოვხსნათ მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენების გზით. ამოცანა დაიყვანება ტვირთის შეკრების პუნქტების განსაზღვრით (რომლებიც შედიან გადაზიდვის ციკლის არეალში) და მათი ჩამოვლის თანმიმდევრობაზე.

მარშრუტის განსაზღვრის მათემატიკური ამოცანა ცნობილია ორი სახით: „კომპოვოიაჟერის ამოცანა“ და „ჩამორიგების ამოცანა“.

კომპოვოიაჟერის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გვაქვს n რაოდენობის ქალაქი. კომპოვოიაჟერი გადის ერთ-ერთი ქალაქიდან და მოძრაობს ისე, რომ შემოივლის ყველა ქალაქს იმ პირობით, რომ თითოეულ ქალაქში მოხვდება მხოლოდ ერთხელ. ქალაქებს შორის მანძილი ერთნაირი არ არის, ამიტომ ქალაქების გავლის რიგითობის მიხედვით თითოეული თანმიმდევრობის დროს გვექნება გარბენის ჯამური სიდიდის სხვადასხვა მნიშვნელობა. ყველა ეტაპისათვის უნდა ვიპოვოთ ისეთი სიდიდე, რომ აღნიშნული ჯამი იყოს მინიმალური.

კომპოვოიაჟერის ამოცანისაგან განსხვავებით, როდესაც ყველა პუნქტების

შემოვლისათვის შეიძლება ავსოთ ერთი მარშრუტი, „ჩამორიგების ამოცანის“ შემთხვევაში უნდა აიგოს რამდენიმე მარშრუტი, რომელიც ჩაკეტილი არის ერთ გამგზავნთან. ოპტიმალურად ჩაითვლება ის მარშრუტი, სადაც მიზნის ფუნქცია აღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას. ოპტიმიზაციის კრიტერიუმებად შეიძლება იყოს: ავტომობილის გარბენი, მოძრაობის დრო, სატრანსპორტო მუშაობა, სატრანსპორტო ხარჯები და სხვა.

მარშრუტების დაგეგმვა უნდა მოხდეს ისეთი სახით, რომ ტვირთის წონამ არ გადააჭარბოს ავტომობილის ტვირთამწიფობას, ხოლო ყველა მარშრუტის ჯამური სიგრძე იყოს მინიმალური. ოპტიმალური მნიშვნელობების მიღება შესაძლებელი არის ზუსტი მეთოდების გამოყენებით. ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება „მტოებისა და საზღვრების მეთოდი“. ასეთი მეთოდები საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ბევრი სხვადასხვა არიანტი, მით უფრო რომ დიდი არის თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობები.

მარშრუტიზაციის ამოცანების ამოხსნის დროს ზუსტი ამონახსნების მისაღებად პირველად იქნა გამოყენებული დინამიკური მეთოდი [6, 7].

დინამიკური პროგრამირება წარმოადგენს ოპტიმიზაციის მათემატიკურ მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავგეგმოთ მრავალეტაპიანი პროცესები დროსთან კავშირში. სატრანსპორტო ქსელში უმოკლესი გზების ძიება წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ ამოცანას.

დინამიკური პროგრამირების არსი მდგომარეობს შემდეგში: გამოთვლების მთელი ჯაჭვი დაიყოთა $n+1$ ეტაპებად (n – არის განტვირთვის პუნქტების რაოდენობა). ყოველ k -ურ ეტაპზე განიხილება პუნქტი, რომლის ნომერი შეესაბამება ეტაპის ნომერს. შემდეგ დაითვლება მდგომარეობის ფუნქცია f_{k-1} ყოველი რკალისათვის, რომელიც გამოდის ამ პუნქტიდან. აირჩევა ყველა ვარიანტიდან მინიმალური მნიშვნელობა. სიმალეების კომბინაციამ, არჩეული რკალის შესაბამისად, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები.

- მხოლოდ ერთი რკალი გამოდის სიმალლიდან;
- მხოლოდ ერთი რკალი შედის სიმალლეში;
- ქვეციკლების არ არსებობას მარშრუტის სიგრძეზე არ განვიხილავთ.

ზემოთაღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში ხდება დაბრუნება ერთი

ეტაპით უკან და ამ ეტაპზე მიღებული რკალი $(k-1)$ - j იგნორირებულია შემდეგი რკალი აირჩევა პირობიდან, რომ $f_{(k-1)-i} \geq f_{(k-1)-j}$ ($i \neq j$).

როდესაც პროცესი აღწევს $n+1$ ეტაპს, გაანგარიშება მთავრდება. ფუნქციონალურ განტოლებას ამ ამოცანისათვის აქვს სახე [49]:

$$f_i = \min(\ell_{ij} + f_j), \quad (1.6)$$

სადაც ℓ_{ij} – არის i და j პუნქტებს შორის მანძილი;

f_j – მინიმალური დაშორება j პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე.

დინამიკური პროგრამირების მეთოდის ალგორითმის შესაბამისად ვარიანტების ანალიზი იწყება პროცესის ბოლოდან. ამ მეთოდის ღირსება არის ამოცანის ამოხსნის მრავალეტაპიანობა. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ არ გვაქვს ამოხსნის ერთიანი ალგორითმი, რომელიც გამოდგებოდა ყველა ამოცანისათვის. ამავე დროს დიდი მოცულობის ამოცანების ამოხსნა ძალზე შრომატევადია. რიგ ნაშრომებში შემოტანილი არის დამატებითი შეზღუდვები, რომელიც საშუალებას არ იძლევა იმისას, რომ მარშრუტები გადაიკვეთოს. ასეთი მეთოდები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გარკვეული ობიექტების შეკრება ერთ მარშრუტში, ხოლო მათი ჩამოვლის რიგი მიზანშეწონილია განისაზღვროს სხვა მეთოდებით.

„განშტოებისა და საზღვრების“ მეთოდი შემოთავაზებულ იქნა მეცნიერთა ჯგუფის მიერ (დ. ლიტლი, კ. მურტი, დ. სუინი და კ. კეროლი [49, 62]) და დიდი გამოყენება ჰპოვა „კოსმოვოიაჟერის ამოცანის“ გადასაწყვეტად. ის წარმოადგენს ერთ-ერთ ზუსტ მეთოდს მარშრუტიზაციის ამოცანის ამოსახსნელად და დაიყვანება მიზნის ფუნქციის მოძებნაზე შემდეგი სახით:

$$L = \sum_{i=1}^n \ell_i \quad (1.7)$$

სადაც n – არის განშტოების რაოდენობა;

ℓ_i – შტოს სიგრძე შვერილებს შორის.

აღნიშნული მეთოდით გამოთვლების ჩატარება მარტივია და მდგომარეობს შემდეგში. საწყის მომენტში ყველა შესაძლო გადაწყვეტილებების სიმრავლიდან შეირჩევა ფუნქციონალის მნიშვნელობის ქვედა ზღვარი, რომლის ზემოთ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა არ იქნება.

მინიმალურ დაშორებაზე ხდება საწყისი მატრიცის დაყვანა. ამ მიზნით მატრიცაში განისაზღვრება მინიმალური ელემენტები, ე.წ. დაყვანის მუდმივები, რომელიც საწყის მომენტში გამოითვლება მოცემული სტრიქონის თითოეული ელემენტიდან, ხოლო შემდეგ სვეტის თითოეული ელემენტიდან. დაყვანილ მატრიცაში ყოველ სტრიქონსა და ყოველ სვეტში არის თუნდაც ერთი ნულოვანი ელემენტი. თავიდან განიხილება ეს ელემენტები, რადგან უჯრა ნულოვანი დაშორებით აღნიშნავს მინიმალურ მარშრუტს დაშორების მხრივ. შემდეგ ყველა ნულოვანი ელემენტისათვის განისაზღვრება შეფასება A_{i-j} , რომელიც გვიჩვენებს შესაძლო დანაკარგებს, თუ ეს ელემენტი არ იქნება ჩართული მატრიცაში. ამიტომ პირველ რიგში მატრიცაში რთავენ ნულოვან ელემენტს მაღალი შეფასებით. შემდეგ ბოველ ნაბიჯზე სიმრავლეს ყოფენ ორ ურთიერთსიმრავლედ, ისე რომ ისინი არ იკვეთებოდნენ და თითოეული მათგანისათვის ასევე განისაზღვრება ამონახსნის ქვედა ზღვარი და აირჩევა მათ შორის უმცირესი. ამასთან ერთად ერთი ქვესიმრავლე წარმოქმნის მარშრუტებს, რომელიც შეიცავს რგოლს $K-S$, მაშინ

$$L_{K-S}=L(U) \quad (1.8)$$

სადაც $L(U)$ – ქვედა საზღვარია.

ხოლო მეორე – მარშრუტები, რომელსაც ეს რგოლი გამორიცხავს

$$L_{\overline{K-S}}=L(U)+A_{K-S} \quad (1.9)$$

გამოთვლების შედეგების მიღებით წარმოიქმნება ე.წ. „გადაწყვეტილებების ხე“, რომელსაც ყოველ კვანძში აქვს ორი განშტოება. შტოების ბოლომდე გავლის შემდეგ მიიღება მატრიცა ზომით 2×2 . გზა წარმოადგენს ოპტიმალურს, თუ მისი სიგრძე არ აღემატება ნებისმიერი გაუყოფელი ქვესიმრავლის ქვედა საზღვარს.

თუ რომელიმე გაუყოფელი ქვესიმრავლის ქვედა ზღვარი ნაკლებია, ვიდრე ნაპოვნი მარშრუტის სიგრძე, მაშინ ამოხსნა შემდეგ სრულდება იმ ქვესიმრავლიდან, რომელსაც აქვს მინიმალური ქვედა საზღვარი. მას შემდეგ, რაც გავივლით „გადაწყვეტილება ხის“ ყველა შტოს, გამოთვლის პროცესი მთავრდება. უნდა აღინიშნოს, რომ გამოთვლის პროცესი მთავრდება. უნდა აღინიშნოს, რომ გამოთვლის ზუსტი მეთოდების გამოყენება გვაძლევს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების გარანტიას. აღნიშნული მეთოდის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე არის ქვეციკლების არსებობა. ეს არის განსაკუთრებული

შემთხვევები, როდესაც საჭირო არის ერთი და იგივე ქუჩაზე რამდენჯერმე გავლა.

ამიტომ კლიენტების განაცხადები განიხილება როგორც შემთხვევითი სიდიდეები. შემდეგ ხდება დაყოფა მიკრორაიონებად ან გამოიყენება სიტუაციური დაგეგმვა. დამიკრორაიონება ნიშნავს რამდენიმე პუნქტის გაერთიანებას ერთ მიკრორაიონად. რაიონების გაერთიანება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მეთოდით. ამ დროს შეიძლება გაჩნდეს უქმი გარბენები, რაც ფაქტიური მდგომარეობა განსხვავებულია საგეგმოსთან შედარებით, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს შედეგებზე. იმის გამო რომ კლიენტების დაკვეთების სიდიდე და შინაარსი იცვლება, მოსალოდნელია დატვირთვის პუნქტების განლაგებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამიტომ დაშორებების ანგარიშის დროს შეიძლება ცდომილებამ მიაღწიოს კრიტიკულ მნიშვნელობას.

ლოკალური ორგანიზაციის შედარებით კარგ მეთოდს წარმოადგენს ინვერსიის მეთოდი [126, 134]. აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: საწყის ეტაპზე ხდება გადაზიდვის დასაშვები გეგმის ფორმირება და მოცემული არის განსაზღვრული მარშრუტი. შემდეგ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით მიიღწევა გადაზიდვის უკვე არსებული გეგმის სრულყოფა მარშრუტის რგოლების მანიპულირების გზით. ამრიგად, ხდება მარშრუტის გახლეჩა ორ ნაწილად, შეცვლიან რა რგოლებს, ისევ აერთებენ, მხოლოდ იმ პირობით რომ მარშრუტის მეორე ნაწილს ჰქონდეს უკუმიმართულება. მანიპულაცია შეიძლება მოვახდინოთ სამი, ოთხი და ა.შ. რგოლის მიხედვით. იზრდება ვარიანტების რაოდენობაც, რომელიც უნდა გავაანალიზოთ.

ტვირთების გადაზიდვის კიდევ ერთ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს შერჩევა უმოკლესი დაკავშირებული ქსელით [21, 29]. აღნიშნული მეთოდის მიზანია ყველა პუნქტი შეერთდეს უმოკლეს დამაკავშირებელ ქსელში, ე.ი. ყოველ დისლოკაციას ემატება რგოლები უმცირესი დაშორებებით. ეს მეთოდი გამოიყენება სიმეტრიული მატრიცისათვის.

1.3 საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის საექსპლუატაციო ხარისხი

საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა ხასიათდება რამდენიმე საექსპლუატაციო მაჩვენებლით, რომელთა შორის ავტომობილის ხარისხიანობას ყველაზე მეტად აფასებს ტვირთამწეობა - ტვირთის უმაღლესი რაოდენობა, რომელიც შეუძლია სატრანსპორტო საშუალებამ გადაზიდოს ერთდროულად.

ტვირთამწეობა დამოკიდებულია გადასაზიდი ტვირთის მოცულობით მასაზე (სიმკვრივეზე), გეომეტრიულ ზომაზე და განსაზღვრება ავტომობილის საპასპორტო მონაცემების ორი ძირითადი სახით: ნომინალური ტვირთამწეობა და ავტომობილის ძარას შიგა მოცულობა.

ტვირთის გეომეტრიული ზომა განსაზღვრავს რამდენად სრულად შეიძლება გამოვიყენოთ ძარას შიგა მოცულობა. ტვირთის მოცულობით წონაზე კი დამოკიდებულია რამდენად სრულად გამოვიყენებთ ავტომობილის ტვირთამწეობას და შიგა მოცულობას.

გადასაზიდი ტვირთის ზღვრული რაოდენობა შემოიფარგლება ავტომობილის ტვირთამწეობით. ამიტომ ავტომობილის ტვირთამწეობა სრულად გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის მოცულობითი მასა ტოლი იქნება ან გადააჭარბებს ხვედრით მოცულობით ტვირთამწეობას.

თუ ტვირთის სიმკვრივე ნაკლები იქნება ავტომობილის ტვირთამწეობის ხვედრით მოცულობაზე, მაშინ ტვირთამწეობა არ იქნება სრულად გამოყენებული. შესაბამისად, თუ ძარას მოცულობა სრულად არ არის გამოყენებული, მაშინ გვრჩება ძარაზე თავისუფალი ადგილები, ნამეტი ლითონტევადობა და ავტომობილის ტვირთამწეობას ვერ ვიყენებთ ეფექტურად.

ისეთი ტვირთების გადაზიდვის დროს, როცა ტვირთის სიმკვრივე მცირეა, ძარა კი იქნება შევსებული სრულად, მაგრამ ტვირთამწეობას სრულად ვერ გამოვიყენებთ. იმისათვის, რომ სრულად გამოვიყენოთ ავტომობილის ტვირთამწეობა, ხშირად მიმართავენ ბორტების ზომების გაზრდას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალება რაციონალურად იქნას შერჩეული კონკრეტული სახეობის ტვირთის გგადასაზიდად, ისე რომ ტვირთის სიმკვრივის სიდიდე ახლოს მყოს

ავტომობილის ხვედრით მოცულობასთან. ასევე ეფექტურია სპეციალიზირებული მოძრავი შემადგენლობის გამოყენება.

ტვირთების გადაზიდვა ხდება მარშრუტებზე, რომელიც წინასწარ არის შედგენილი და შესაძლოებელია გარკვეულწილად მოწყობილი ინფრასტრუქტურით საწყის და საბოლოო პუნქტებს შორის. მარშრუტიზაციის ამოცანის გადაწყვეტა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ტვირთნაკადების ოპტიმიზირება გადაზიდვის მიმართულების, გადაზიდვის სიშორის და გზის დატვირთულობის მიხედვით.

მარშრუტიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოძრაობის ორგანიზაცია, ტვირთის მიზიდვის დროის მინიმიზაცია, მოძრაობის უსაფრთხოება, სატრანსპორტო საშუალების ეფექტურად გამოყენება, გადაზიდვის გეგმების და გრაფიკის შესრულება.

ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სქემის რეალიზების ელემენტები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

1. ტვირთის გადაზიდვის პირობების ანალიზი და არსებული შეზღუდვები;
2. სატრანსპორტო ტექნოლოგიური სქემების დამუშავება;
3. ტვირთის გადაზიდვის კონკურენტული ვარიანტების შეფასება;
4. გადაზიდვის სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სქემის შერჩევა;
5. ხელშეკრულების გაფორმება და ინსტრუქტაჟის მასალების შედგენა;
6. გადაზიდვის შესრულება არჩეული სქემით;
7. გადაზიდვაზე გაწეული მომსახურების გაანგარიშება;
8. შესრულებული გადაზიდვის კონტროლი და ანალიზი.

სავაჭრო მიწოდებების (სავაჭრო ტვირთის გადაზიდვა) ტრადიციული მეთოდები მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ჩვეულებრივ, ამ ეტაპებს განეკუთვნება:

1. საქონლის საბითუმო შესყიდვები მომწოდებელი ფირმისაგან ან პირდაპირ მწარმოებლისაგან;
2. ტვირთის გადაზიდვა და განთავსება საკუთარ საწყობში;
3. ტვირთების შენახვა და შეკვეთების მიღება კლიენტებისაგან;
4. ტვირთების პარტიების ფორმირება დაკვეთების მიხედვით;
5. მომხმარებლისათვის ტვირთის მიწოდება საკუთარი საწყობიდან გამანაწილებელი ქსელის საშუალებით.

არის შემთხვევები, როდესაც ტვირთის გადაზიდვა მსხვილ პარტიებად ხდება პირდაპირ საბითუმო მოვაჭრესაგან, ისე რომ ტვირთის გადმოტვირთვა არ ხდება საკუთარ საწყობში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანად მცირდება ტვირთის გადაზიდვაზე გაწეული ხარჯები.

სატრანსპორტო ტექნოლოგიური სქემის ეფექტურობის შესაფასებლად ხშირად იყენებენ 1 ტონა ტვირთის გადაზიდვაზე გაწეულ დაყვანილ ხარჯებს. გადაზიდვის ყოველი ეტაპისათვის შეირჩევა შემსრულებელი და ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება ოპერატორს ან ტვირთის მფლობელს შორის.

ტვირთების გადაზიდვის სატრანსპორტო ტექნოლოგიური სქემა ზოგად შემთხვევაში თავის თავში აერთიანებს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. გადასაზიდი ტვირთის ერთეულის ფორმირება, როდესაც ტვირთი მზადდება გადასაზიდად. ამ შემთხვევაში ხარჯის გაწევა ხდება საექსპლუატაციო მიზნით და კაპიტალ დაბანდებაზე;
2. ფორმირებული ტვირთის დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებაზე, ამ შემთხვევაში ხდება ლოგისტიკური ჯაჭვის ორი წევრის ურთიერთქმედება: ტვირთამგზავნის საწყობის და გადამზიდავი კომპანიის სატრანსპორტო საშუალების;
3. ტვირთის მიტანა მაგისტრალური ტრანსპორტის ტერმინალთან. აღნიშნული ეტაპი შეიძლება გამოვრიცხოთ, მაშინ როდესაც პირდაპირი კავშირი არის ტვირთამგზავნსა და ტვირთმიმღებს შორის;
4. ტვირთების კონსოლიდირება ტერმინალებში, რომელთაც აქვთ გადაზიდვის ერთი და იგივე მისამართი. ტერმინალში სრულდება სატრანსპორტო-სასაწყობო ოპერაციები ტვირთების პარტიებად ფორმირებისათვის და მომზადება მაგისტრალური ტრანსპორტისათვის;
5. ტვირთების გადაზიდვა მაგისტრალური ტრანსპორტით;
6. სატრანსპორტო-სასაწყობო ოპერაციები ტვირთების გადმოტვირთვის ადგილზე დანიშნულების ტერმინალში;
7. ტვირთების გაზიდვა მაგისტრალური ტრანსპორტით და მათი განთავსება მომარაგება-გასაღების ბაზებში;
8. ტვირთის მიტანა ბაზებიდან საბოლოო მომხმარებელთან. ამ დროს ხდება

სატრანსპორტო საშუალებების და დამტვირთავ-განმტვირთავი საშუალებების ურთიერთქმედება. ძირითადად ამ შემთხვევაში გამოიყენება მცირე და საშუალო ტვირთამწეობის ავტომობილები;

9. გადაზიდვის პროცესის კონტროლი. მიმდინარეობს არჩეული სქემის ეფექტურობის შეფასება და შემსრულებელთა მიერ გაწეული სამუშაოს ანალიზი, ხდება საბოლოო ფინანსური გაანგარიშებები.

ტრანსპორტირების ორგანიზაციის დროს ძირითადად გამოიყენება ორი ძირითადი პრინციპი: ეკონომიის მიღება გადაზიდვების მასშაბურობის ხარჯზე და ეკონომია, რომელიც მიიღება მარშრუტის სიშორის ხარჯზე.

პირველ შემთხვევაში ეკონომიას ვღებულობთ სატრანსპორტო ხარჯების შემცირებით, რაც მიიღწევა გადასაზიდი ტვირთის პარტიების დამსხვილებით. ამ დროს მცირდება ერთეული ტვირთის გადაზიდვაზე გაწეული ხარჯები. ეს არის შემთხვევა, როდესაც გადაზიდვის ღირებულების მუდმივი მდგენელი განაწილებული არის მთელ ტვირთზე (ადმინისტრაციული ხარჯები, მოცდენის ხარჯები, დატვირთვა-განტვირთვა, საექსპლუატაციო ხარჯები და სხვა).

მარშრუტის სიშორის ხარჯზე ეკონომია მიიღწევა ერთეული ტვირთის გადაზიდვაზე გაწეული ხარჯების შემცირებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პროცესის ანალიზმა მთელ რიგ ქვეყნებში აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირება, რაც გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით: მონოპოლიზაციის მაღალი დონე, მკაცრი კონკურენცია საავტომობილო-სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე და ა.შ.

მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები აჯდენენ სატრანსპორტო გადაზიდვების პირობების და წესების რეგლამენტირებას, ადგენენ ავტოსატრანსპორტო დაზწესებულებების და სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაობის წესებს და ვალდებულებებს, გადაზიდვაზე საჭირო დოკუმენტაციას და ხელშეკრულებებს. ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებისათვის დგება ტიპიური ხელშეკრულება ტვირთების გადაზიდვაზე.

1.3. პირველი თავის დასკვნები

ჩატარებული ანალიზის მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. დღევანდელი პირობებისათვის იზრდება რა მოთხოვნები ტვირთების მცირე პარტიებად გადაზიდვის მიმართ, აუცილებელი ხდება ავამაღლოთ მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ხარისხი.
2. ტვირთების მცირე პარტიებად გადაზიდვის პროცესის ორგანიზაციის დროს დასახული მიზანი მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ გარბენის მინიმიზაციისაკენ, არამედ უნდა მოხდეს საავტომობილო ტრანსპორტის მიერ შესრულებული სამუშაოს მინიმიზირება.
3. ერთის მხრივ კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობის გაზრდა და მეორეს მხრივ ბაზრის მოთხოვნების ზრდა სატრანსპორტო მომსახურების სიზუსტეზე, აქტუალურს ხდის გამოვიყენოთ „შტოებისა და საზღვრების“ მეთოდი ტვირთების წვრილ პარტიებად და გადაზიდვის მარშრუტიზაციის პროცესში.
4. ქალაქების განლაგების სპეციფიკა აუცილებელს ხდის ტვირთების მცირე პარტიებად გადაადგილების დროს რამდენჯერმე მოხდეს ერთსა და იმავე მისამართზე ტვირთის მიტანა ერთ შემთხვევაში, როდესაც ვიყენებთ „შტოებისა და საზღვრების მეთოდს“. ეს რეალობა გათვალისწინებული არ არის, რაც საჭიროებს მის მოდერნიზაციას. ამიტომ ზუსტი მეთოდების მოდერნიზაცია წარმოადგენს პერსპექტიულ მიმართულებას ტვირთების მცირე პარტიებად გადაზიდვის პროცესის დაგეგმვისათვის. რაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ოპერატიული დაგეგმვა და ავამაღლოთ საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ეფექტურობა.

თავი 2. „განშტოებისა და საზღვრების“ მეთოდის სრულყოფა


2.1. ამოცანის ამოხსნისათვის საჭირო ალგორითმის დამუშავება

ტვირთების გადაზიდვის პროცესის ეფექტურობის გაზრდისათვის ერთ-ერთი გზა არის ტვირთების გადაადგილება შერწყმული მარშრუტებით. მცირე პარტიებად ტვირთების გადაზიდვას აღნიშნული მარშრუტით აქვს თავისი განსაკუთრებული ხასიათი, რადგან ის ითვალისწინებს ერთი და იგივე პუნქტში მარშრუტის გავლის დროს რამდენჯერმე შესვლას. რაც თავის მხრივ არ აკმაყოფილებს მარშრუტიზაციის კლასიკური ამოცანის პირობებს, როცა მარშრუტის გავლის დროს თითოეულ პუნქტში შევლა უნდა მოხდეს მხოლოდ ერთჯერ. გარდა აღნიშნულისა, საკითხის თეორიულ ჭრილში დასმა წინააღმდეგობაში მოდის რეალურ პროცესში მარშრუტზე მოძრაობის დროს.

დღევანდელი მოთხოვნები მარშრუტების ოპტიმალური შერჩევის ამოცანის გადასაწყვეტად განუხრელად იზრდება. ამიტომ კვლევებისას ზუსტი მეთოდების გამოყენებას ალტერნატივა არ აქვს. წინამდებარე კვლევაში სხვადასხვა მარშრუტების კვლევის საფუძველს წარმოადგენს „შტოებისა და საზღვრების“ მეთოდი. როგორც აღინიშნა, აღნიშნული მეთოდის უარყოფითი მხარე არის ის, რომ არ არის საშუალება გათვალისწინებული იყოს ქვეციკლები. ამიტომ მკვლევარები უფრო სარგებლობენ ამოცანის გადაწყვეტის მიახლოებითი მეთოდებით. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მეთოდიკა, რომელიც ასეთ კონკრეტულ პირობებში იძლევა საშუალებას მოვახდინოთ კლასიკური მეთოდის სრულყოფა.

მეთოდიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სატრანსპორტო ქსელის კვლევის დროს შემოტანილი არის ფიქტიური კვანძები და კავშირები, როდესაც ეს არის საჭირო.

ფიქტიური კვანძი (პუნქტი) ეწოდება დამატებით შემოყვანილ კვანძს, რომელიც არ იყო საწყის სატრანსპორტო ქსელში. ასევე ფიქტიური არის კავშირი მასსა და ნამდვილ ობიექტს შორის. ერთად ისინი ქმნიან ფიქტიურ შტოს ან რგოლს.



ნახ.2.1. „ფიქტიური შტო“-ს ელემენტები

ა) სამკუთხა ელემენტი; ბ) კვანძოვანი ელემენტი

მარშრუტიზაციის ამოცანა შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახით. ვთქვათ არსებობს სატრანსპორტო ქსელი, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს ტვირთის გადატანა. ტვირთის მახასიათებელი არის ერთგვაროვანი, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ერთი ტიპის სატრანსპორტო საშუალება. ამასთან ერთად ცნობილია ერთი ავტოსატრანსპორტო კომპანია, რომელიც ერთი მწარმოებლიდან აწარმოებს ტვირთების დარიგებას მომხმარებელთან სავაჭრო ქსელში. ცნობილია ტვირთის ის რაოდენობა, რომელიც გადაიზიდება ერთი მომხმარებლისათვის ერთი მარშრუტის დროს ხორციელდება რამდენიმე პუნქტის მომსახურება. საჭიროა გადაზიდვის პროცესი დაიგეგმოს ისეთი სახით, რომ დაკმაყოფილდეს ყველა მომხმარებელი და ამასთან ერთად ტრანსპორტირებაზე დანახარჯების სიდიდე იყოს მინიმალური. მიზნის ფუნქციად შეიძლება გამოვიყენოთ მარშრუტის სიგრძე ან დრო. შესაბამისად:

$$f(L) = \sum l_i \rightarrow \min; \quad f(T) = \sum t_i \rightarrow \min \quad (2.1)$$

ერთნაირი სიგრძის მარშრუტების არსებობის შემთხვევაში შეირჩევა ის,

სატრანსპორტო მუშაობის სიდიდე არის მინიმალური გადაზიდვის პროცესის შესრულების დროს (იგულისხმება მხოლოდ ტვირთის გადაზიდვის დროს შესრულებული მუშაობა).

სატრანსპორტო ქსელის გრაფი თავის თავში შეიცავს N წვეროს. განტვირთვის პუნქტების რაოდენობა იმყოფება ზღვრებში $i=1, 2, 3...n$. ყველა წვერო შეერთებულია კავშირებით, რომლის წონა (სიგრძე ან დრო) ცნობილია. აქედან გამომდინარე დგება პუნქტებს შორის წონების მატრიცა [43, 79, 108]:

$$L = \begin{vmatrix} \infty & l_{1,2} & l_{1,3} & \dots & l_{1,n} & \dots & l_{1,N} \\ l_{2,1} & \infty & l_{2,3} & \dots & l_{2,n} & \dots & l_{2,N} \\ l_{3,1} & l_{3,2} & \infty & \dots & l_{3,n} & \dots & l_{3,N} \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ l_{n,1} & l_{n,2} & l_{n,3} & \dots & \infty & \dots & l_{n,N} \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ l_{N,1} & l_{N,2} & l_{N,3} & \dots & l_{N,n} & \dots & \infty \end{vmatrix}$$

უნდა შევნიშნოთ, რომ ∞ – წარმოადგენს დიდ რიცხვს და აღნიშნავს მოძრაობის ბლოკირებას პუნქტებს შორის. შესაძლებელია, რომ $l_{ij} \neq l_{ji}$, მაშინ მიიღება არასიმეტრიული მატრიცა.

ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენებთ ქვემოთ მოყვანილ ალგორითმს:

1. ვადგენთ საწყის მატრიცას საკვლევი სატრანსპორტო ქსელის პუნქტებს შორის l_{ij} . უნდა აღინიშნოს, რომ უჯრებში შეიძლება იყოს არა მხოლოდ დამორბეების სიდიდე, არამედ სხვა მაჩვენებლებიც.
2. გადავდივართ დაყვანილ მატრიცაზე – $L^{(k)}$. ამისათვის ყოველ სტრიქონში ვნახულობთ მინიმალურ ელემენტს h_i და გამოვყოფთ მას სხვა დანარჩენი ელემენტებისაგან l_{ij} , რომელიც განლაგებულია განსახილველ სტრიქონში.

$$l_{ij} = l'_{ij} - h_i, \quad i = 1, 2, 3 \dots n, \quad (2.2)$$

შემდეგ მიღებულ მატრიცაში ვპოულობთ მინიმალურ ელემენტს ყველა სვეტში h_j და გამოვყოფთ მას ყველა დანარჩენი ელემენტისაგან l_{ij} , რომელიც განთავსებულია განსახილველ სვეტში.

$$l''_{ij} = l'_{ij} - h_j, \quad j = 1, 2, 3 \dots m \quad (2.3)$$

3. თითოეული ელემენტისათვის განვსაზღვრავთ $l''_{ij} = 0$ შეფასებას ფორმულით

$$A = \min \ell''_{ik} + \min \ell''_{sj}, \quad (2.4)$$

სადაც ℓ''_{ik} – უმცირესი ელემენტია i სტრიქონში;

ℓ''_{sj} – უმცირესი ელემენტია j სვეტში.

$$k \neq j, s \neq i, k, s = 1, 2, 3, \dots, n.$$

4. ვპოულობთ წყვილს $k-s$ მაქსიმალური შეფასებით

$$A_{ks} = \max A_{ij}, \quad i, j = 1, 2, 3, \dots, n \quad (2.5)$$

5. ვადგენთ ახალ მატრიცას L_1 . ამისათვის $L^{\text{ფ}}$ სტრიქონიდან გადავხაზავთ k და სვეტიდან s მაღალი მნიშვნელობებით. ვახდენთ უჯრედის ბლოკირებას s სტრიქონსა და k სვეტს შორის გადაკვეთაზე, ასევე განშტოების ბლოკირებას, რომელსაც მივყავართ ჯაჭვის ჩაკეტვაზე, რომლის რგოლის არის $k-s$.

6. შევქმნათ ახალი ფაქტიური მატრიცა F_k და F_s , სადაც L_1 -ში შეგვყავს ახალი ფაქტიური კვანძები k და s . ვატარებთ ოპერაციებს მიღებულ მატრიცაზე F_k და F_s , რომელიც აღწერილი არის 2–4 პუნქტებში, მანამ სანამ უკანასკნელი გადახაზული შტო არ გამოაშკარავდება.

7. ვადგენთ, რომ ფიქტიური კვანძების რაოდენობა ტოლი არის შტოების კვანძში შემავალ კვანძების რაოდენობას მინუს ერთი.

8. ოპტიმალური მარშრუტი დგინდება ვარიანტების შედარების შედეგად.


შემოთავაზებული ალგორითმის საფუძველზე დამუშავებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა. პროგრამა საშუალებას იძლევა მოვახდინოთ მარშრუტების გადარჩევა დამუშავებული ალგორითმის მიხედვით. თუ გაანგარიშების დროს მიიღება რამდენიმე მარშრუტი, რომელთაც აქვთ მიზნის ფუნქციის ერთნაირი მინიმალური მნიშვნელობა, მაშინ პროგრამა შეირჩევს ოპტიმალურ მარშრუტს, რომელზედაც არის სატრანსპორტო მუშაობის მინიმალური სიდიდე.

მიზნის ფუნქციად პროგრამაში შეიძლება წარმოდგენილ იქნას მანძილი ან დრო. პროგრამა ფუნქციონირებს Windows საოპერაციო სისტემის მართვის ქვეშ. დამუშავებული პროგრამის პაკეტი მოცემული არის დანართში 1.

გარდა აღნიშნულისა გრაფის ორ მწვერვალს შორის უმოკლესი დაშორების ან დროის საძებნელად დამუშავებულია პროგრამა, სადაც გამოყენებულია იგივე საწყისი მატრიცა.

2.2. ამოცანების ამოხსნის მაგალითები „ფიქტიური შტოების“ მეთოდის გამოყენებით

განვიხილოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდით ამოცანის ამოხსნა, როდესაც სატრანსპორტო ქსელში გვაქვს ხუთი ობიექტი (ნახ.2.3).



ნახ.2.3. სატრანსპორტო ქსელის სქემა

პროგრამის მიხედვით გაანგარიშებამ აჩვენა, რომ აღნიშნული ამოცანის ამოხსნას აქვს 848 ვარიანტი. დიდი მოცულობის გამო არ არის იმის საშუალება, რომ ყველა ვარიანტი განვიხილოთ ცალ-ცალკე. იმისათვის, რომ კარგად გავარკვიოთ შემოთავაზებული მეთოდის არსი, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. პირველ ეტაპზე საჭიროა შევადგინოთ საწყისი მატრიცა L (დამორბეების მატრიცა) (ცხრ. 2.1).

ცხრილი 2.1.

	1	2	3	4	5
1		2	7		10
2	2		3	4	1
3	7	3		15	
4		4	15		20
5	10	1		20	

მეორე ეტაპის შესაბამისი შედეგები მოცემულია ცხრილებში 2.2 და 2.3.

ცხრილი 2.2

	1	2	3	4	5
1		0	5		8
2			2	3	0
3	4	0		12	
4		0	11		16
5	9	0		19	

ცხრილი 2.3.

	1	2	3	4	5
1		0	3		8
2	0		0	0	0
3	3	0		9	
4		0	9		16
5	8	0		16	

ამოცანის ამოხსნის მე-3 ეტაპზე განისაზღვრება შეფასებები მატრიცის თითოეული ნულოვანი ელემენტისათვის, რომელიც მიეთითება უჯრედის ზედა მარჯვენა კუთხეში. მეოთხე ეტაპზე მოიძებნება შტო მაქსიმალური შეფასებით. შედეგები მოყვანილია ცხრ.2.4 და ცხრ.2.5.

ცხრილი 2.4

	1	2	3	4	5
1		0^3	3		8
2	0^3		0^3	0^9	0^8
3	3	0^3		9	
4		0^9	9		16
5	8	0^8		16	

ცხრილი 2.5.

	1	2	3	5
1		0	3	8
3	3	0		
4		∞	9	16
5	8	0		

როგორც 2.4 ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს შტოს 2-4 და 4-2, რომელიც ტოლია 9-ის.

მეხუთე ეტაპის თანახმად შეიძლება გადავხაზოთ ნებისმიერი ამ მიითთებული შტოდან. ამრიგად ამონახსნების ხე გაორდება და შემდეგში თითოეული შტო მოწმდება ცალ-ცალკე. განვიხილოთ ამოცანის ამოხსნა შემთხვევისათვის, როცა გადავხაზავთ 2-4 შტოს. ახალი მატრიცა L_1 , რომელიც მოცემულია ნახ.2.5-ზე, იმისათვის რომ შტო არ ჩაიკეტოს, 4-2 შტო ბლოკირდება. ვადგენთ ფიქტიურ მატრიცებს Φ_k და Φ_s , რომელიც მოცემულია ცხრილებში 2.6 და 2.7.

ცხრილი 2.6

	1	2	3	5	4Φ1
1		0	3	8	
3	3	0			9
4			9	16	
5	8	0			16
4Φ1		0	9	16	

Φ_K

ცხრილი 2.7.

	1	2	3	5	2Φ1
1		0	3	8	0
3	3	0			0
4			9	16	0
5	8	0			0
2Φ1	0		0	0	

Φ_s

მიღებულ ფიქტიურ მატრიცებზე ჩავატაროთ ანალოგიური ოპერაციები, მანამ სანამ არ მივიღებთ მატრიცას ზომით 2×2 -ზე. პირველად განვიხილავთ F_s მატრიცის ამოხსნას. ცხრილში 2.8 მოყვანილია 0-ვანი ელემენტების შეფასება და გადავხაზავთ შტოს $4-2F1$, ვღებულობთ ახალ მატრიცას (ცხრ.2.9).

ცხრილი 2.8

	1	2	3	5	2F1
1		0 ⁰	3	8	0 ⁰
3	3	0 ⁰			0 ⁰
4			9	16	0 ⁹
5	8	0 ⁰			0 ⁰
2F1	0 ³		0 ³	0 ⁸	

ცხრილი 2.9.

	1	2	3	5
1		0	3	8
3	3	0		
5				
2F1	0		0	0

განვახორციელოთ მათზე ანალოგიური დაყვანის ოპერაცია და გამოვრიცხოთ განშტოება $4-2$, მივიღებთ ცხრილს 2.10 მიღებულ მატრიცაში შეგვყავს ფიქტიური ელემენტები $5F1$ და $2F1$.

ცხრილი 2.10

	1	2	3	5
1		0 ³	3	8
3	3	0 ³		
5	8	0 ⁸		
2F1	0 ³		0 ³	0 ⁸

ცხრილი 2.11.

	1	3	5
1		3	8
3	3		
2F1	0	0	0

5F1 ფიქტიური კვანძის შეყვანის შემდეგ გამოვრიცხავთ შტოს 3-1 (ცხრ.2.12). ვახდენთ 1-3 შტოს ბლოკირებას. ვღებულობთ ცხრ.2.13-ს

ცხრილი 2.12

	1	3	5	5F1
1		0 ⁵	5	5
3	0 ⁰⁰			
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁵	0 ⁵
F1	0 ⁰⁰			

ცხრილი 2.13

	3	5	5F1
1	00	5	5
2F1	0	0	0
5F1			

ცხრილი 2.12

ცხრილი 2.13

	1	3	5	5F1
1		0 ⁵	5	5
3	0 ⁰⁰			
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁵	0 ⁵
5F1	0 ⁰⁰			

	3	5	5F1
1	0	5	005
3			
2F1	0	0	0

2.15 ცხრილიდან ჩანს, რომ 3F1 კვანძთან კავშირი არ არსებობს, ამიტომ ამონახსნების ხის ამ შტოს გავლა ამონახსნს არ მოგვცემს.

დავუბრუნდებით ცხრ.2.10-ს და ეხლა განვიხილავთ მეორე ვარიანტს 2F2 ფიქტიური კვანძის შეყვანის შემთხვევაში (ცხრ.2.16). ცხრ. 2.17-ში მოყვანილია მონაცემები და ეხლა გადავხაზავთ 1-2F2 შტოს.

ცხრილი 2.16

	1	3	5	2F2
1		3	8	0
3	3			0
2F1	0	0	0	
2F1	0	0	0	

ცხრილი 2.17.

	1	3	5	2F2
1		3	8	0 ³
3	3			0 ³
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	
2Φ2	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	

შემდეგ ეტაპზე გამოირიცხება 3-1 შტო. შედეგები მოცემულია ცხრ.2.18. საბოლოოდ ამონახსნი დაიყვანება მატრიცაზე ზომით 2x2; შტო 2F2-3 დაიბლოკება და თანმიმდევრობით გამოირიცხება შტოები 2F1-3 და 2F2-5 (ცხრ.2.19).

ცხრილი 2.18

	1	3	5
3	0 ⁰⁰		
2	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
1			
5F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰

ცხრილი 2.19

	3	5
2F1	0 [∞]	0 ⁰
2F1	∞	0 [∞]

ამონახსნთა ხეზე აღნიშნული შტოს გავლის შემდეგ მიღებული არის მარშრუტი 2-4-2F1-3-1-2F2-5-2, რომლის სიგრძე არის 22 კმ.

თუ დავუბრუნდებით 2.17 ცხრილს და შევამოწმებთ 3-2F2 შტოს გამოირიცხვის მატრიცას (ცხრ.2.20), მივიღებთ ახალ მატრიცას ცხრ.2.21 დაბლოკილი არის 2F2-3 შტო.

ცხრილი 2.20

	1	3	5	2F2
1		3	8	0 ³
3	3			0 ³
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	
2F2	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	

ცხრილი 2.21

	1	3	5
1		3	8
2F1	0	0	0
2F2	0	∞	0

მატრიცების დაყვანის და ნულოვანი ელემენტების შეფასების შემდეგ გამოვრიცხავთ 1-3 შტოს (ცხრ.2.22) ვაგრძელებთ ამონახსნის ძიებას, მანამ სანამ არ მივიღებთ მატრიცას ზომით 2x2-ზე. 2F2-1 შტო დაიბლოკება და თანმიმდევრობით გამოირიცხება 2F1-1 და 2F2-5 შტოები (ცხრ.2.23).

ცხრილი 2.22

	1	3	5
1		0 ⁵	5
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2	0 ⁰		0 ⁰

ცხრილი 2.23

	1	5
2F1	0 [∞]	0 ⁰
2F2	∞	0 [∞]

ამონახსნთა ხეზე აღნიშნული შტოს გავლის შემდეგ ვლებულობთ მარშრუტს:

2-4-2F1-1-3-2F2-5-2 სიგრძით 22 კმ.

დავუბრუნდეთ ცხრ.2.21 და განვიხილოთ ფიქტიური კვანძის 3F1-ის შეყვანის ვარიანტი (ცხრ.2.24). 2F2-3 შტოს ვბლოკავთ (ცხრ.2.25). თუ 3F1-1 შტოს გამოვრიცხავთ, მივიღებთ მატრიცას ცხრ.2.26.

ცხრილი 2.24

	1	3	5	3Φ
1		3	8	3
2F1	0	0	0	0
2F2	0	∞	0	0
3F1	3			

ცხრილი 2.25

	1	3	5	3F1
1		0 ⁰	5	0 ⁰
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2	0 ⁰		0 ⁰	0 ⁰
3F1	0 ⁰			

გამოვრიცხოთ შტო 1-3, ცხრ. 2.27, ხოლო 1-3F1 შტო ბლოკირდება. შემდეგ ამოხსნა დაიყვანება მატრიცაზე ზომით 2x2. ამასთან ერთად მატრიცაში 2.28 ბლოკირდება 2F1-5 შტო და რიგრიგობით გამოირიცხება 2F1-3F1 და 2F2-5 შტოები.

ცხრილი 2.26

	3	5	3F
1	0	5	∞
2F1	0	0	0
2F2		0	0

ცხრილი 2.27

	3	5	3F1
1	0 ⁵	5	∞
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2		0 ⁰	0 ⁰

ცხრილი 2.28

2F1	∞	0 [∞]
2F2	0 [∞]	0 ⁰

ამონახსნთა ხეზე შესაბამისი შტოს გავლის შემდეგ მივიღეთ მარშრუტი

2-4-2F1-3F1-1-3-2F2-5-2 სიგრძით 30 კმ.

დავუბრუნდეთ ცხრ.2.26-ს და ეხლა განვიხილოთ 3F2 ფიქტიური კვანძის შემოყვანის ვარიანტი (ცხრ.2.29) 1-3F1 შტო დაბლოკილია. 3F2 კვანძს არ აქვს კავშირები. ამიტომ ამონახსნი ამ მიმართულებით არ გვაქვს.

ცხრილი 2.29

1	0	5		0
2F1	0	0	0	0
2F2		0	0	0
3F2				

ცხრილი 2.30

	3	5	3F1	1F1
1	0 ⁰	5		0
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2		0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
1F1	0 ⁰	5	0 ⁰	

თუ დავუბრუნდებით ცხრ.2.21-ში და შევიყვანთ ფიქტიურ კვანძს 2F3 და გავიმეორებთ ოპერაციებს, მივიღებთ ცხრ.2.31-ს, სადაც ვახდენთ 2F3–1 შტოს ბლოკირებას (ცხრ.2.32).

ცხრილი 2.31

	1	3	5	2F3
1		3	8	0 ³
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2	0 ⁰		0 ⁰	
2F3	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	

ცხრილი 2.32

	1	3	5
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2	0 ⁰		0 ⁰
2F3	∞	0 ⁰	0 ⁰

ამოცანების ამოხსნის ალგორითმის თანახმად, ფიქტიური კვანძების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კავშირების რიცხვს მინუს ერთს. ამის შემდეგ განვიხილავთ მატრიცების ამოხსნას ფიქტიური კვანძის შეყვანის გარეშე. ცხრ.2.32-დან ჩანს, რომ ყველა ელემენტს აქვს ერთი და იგივე შეფასება. ამიტომ ოპტიმალური ვარიანტი უნდა ვეძებოთ შედარების მეთოდის საშუალებით. გამოთვლებით დადგინდა, რომ მარშრუტის ყველა ვარიანტი გვამღევს ერთსა და იმავე ამონახსნს – მარშრუტის სიგრძეა 20 კმ.

თუ დავუბრუნდებით 2.32 ცხრილს და შევამოწმებთ 1F1 ფიქტიური კვანძის შეყვანის ვარიანტს (ცხრ.2.33), ამავე დროს დავბლოკავთ 2F2–2F1 შტოს და გამოვრიცხავთ 1F1–3 შტოს, მივიღებთ 2.34 ცხრილს.

ყველა უჯრაში 0-ვან ელემენტს აქვს ერთი და იგივე შეფასება. გამოთვლებით დადგინდა, რომ მარშრუტის სიგრძე არის 26 კმ.


ცხრილი 2.33

	1	3	5	1F1
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2	0 ⁰		0 ⁰	0 ⁰
2F3		0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
1F1		0 ⁵	5	

ცხრილი 2.34

	1	5	1F1
2F1	0 ⁰	0 ⁰	0 ⁰
2F2	0 ⁰	0 ⁰	∞
2F3		0 ⁰	0 ⁰


ყველა ვარიანტის შედარების შემდეგ ვლებულობთ ოპტიმალურ ვარიანტს 20 კმ-ს, რომელიც მოცემულია 2.4.ა ნახაზზე. შეიძლება ვიმოქმედოთ უკუმიმართულებითაც. ამ შემთხვევაში კლასიკური მეთოდებით მივიღებთ მარშრუტის შემდეგ თანმიმდევრობას: 2-4-3-1-5-2, რომლის სიგრძე იქნებოდა 37 კმ (ნახ.2.4.ბ).




ტრადიციული სატრანსპორტო ქსელისათვის (ნახ.2.5) ცხადი გახდება, რომ კლასიკური მეთოდების გამოყენება ვერ მოხერხდება, რადგან წინასწარ არის ცნობილი, რომ მე-10 პუნქტში საჭირო არის ორჯერ შესვლა.

L დაშორების საწყისი მატრიცა მოყვანილი არის ცხრილში 2.35.

ცხრ.2.36-ის მარჯვენა ზედა მხარეში მოცემულია შეფასება ზემოთმოყვანილი ალგორითმის მიხედვით დაყვანილი მატრიცისათვის $L^{აჟ}$. ცხრილის ცარიელ უჯრედებში მოთავსებული არის დიდი რიცხვები. აღნიშნული ცხრილიდან გამოვრიცხავთ წყვილს 8-6 ყველაზე მაღალი შეფასებით 11 და ვბლოკავთ განშტოებას 6-8, შედეგად მივიღებთ L_1 მატრიცას, რომელიც მოცემულია ცხრილში 2.37.



ნახ.2.5. სატრანსპორტო ქსელის სქემა



ნახ.2.6. მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტის გრაფი

ცხრილი 2.35

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1		2	4							8			
2	2		1	3						2			
3	4	1			8								
4		3			2	4			3				
5			8	2			9						
6				4			1	2					

7				9	1							
8					2			14				
9			3				14		11			
10	8	2						11		2		2
11									2		1	
12										1		2
13									2		2	

ცხრილი 2.36

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1		0 ²	2							6			
2	0 ²		0 ²	2						1			
3	2	0 ²			7								
4		1			0 ⁷	2			0 ⁸				
5			6	0 ⁶			7						
6				3			0 ⁷	0 ¹⁰					
7					8	0 ⁸							
8						0 ¹¹			11				
9				0 ⁸				10		8			
10	5	0 ⁰							8		0 ⁰		0 ¹
11										1		0 ¹	
12											0 ¹		1
13										0 ¹		0 ⁰	

ცხრილი 2.37

	1	2	3	4	5	7	8	9	10	11	12	13
1		0 ²	2						6			
2	0 ²		0 ²	2					1			
3	2	0 ²			7							
4		1			0 ⁰			0 ⁸				
5			6	0 ⁶		7						

6			3		0^7	0^{10}					
7				0^∞							
9			0^0			0^∞		8			
10	5	0^0						8	0^0		0^1
11								1		0^1	
12									0^1		1
13								0^1		0^0	

მასში ყველაზე მაღალი შეფასება ∞ აქვს ორ შტოს 7–5 და 9–8. როგორც აჩვენა კვლევებმა, მათი შემდგომი გამორიცხვა არ გვაძლევს ოპტიმალურ მარშრუტს. ფიქტიური მატრიცა მიიღება ცხრ.2.36-დან, როდესაც შემოვიტანთ ფიქტიურ კვანძს 6F1. მისგან ვღებულობთ დაყვანილ მატრიცას F_s , რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 2.38. მასში არის ორი შტო, რომლის უმაღლესი შეფასება არის 10.

გამოვრიცხავთ მიმდევრობით თითოეულ მათგანს:

6F1–8 და 7–6F1. შემდეგი ალგორითმი მეორდება დაყვანის, გამორიცხვის და ფიქტიური კვანძების შეყვანა გრძელდება მანამ, სანამ არ მივიღებთ მატრიცას ზომით 2×2 . მიღებული ოპტიმალური მარშრუტი სიგრძით 47 კმ ნაჩვენებია ნახ.2.6-ზე.

ეს მარტშრუტია: 8–6–4F2–2F3–1–2–1F1–13–12–11–10–2F2–3–2F1–2F3–5–4F1–9–4–6F2–7–6F1–8.

ცხრილში 2.39 ნაჩვენებია დაყვანილი მატრიცა F_k , რომელიც მიღებულია 2.37 ცხრილიდან ფიქტიური კვანძის 8F1-ის შეყვანით. მას აქვს ოთხი შტო, შეფასებით ∞ ; 7–5; 9–8; 9–8F1, 8F1–9. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი უგულებელყოფა არ გვაძლევს ოპტიმალური მარშრუტის სურათს.

ცხრილი 2.38

	1	2	3	4	5	7	8	9	10	11	12	13	6Φ1
1		0^2	2						6				
2	0^2		0^2	2					1				
3	2	0^2			7								
4		1			0^7			0^8					2
5			6	0^6		7							

6			3		0^3							
7				8								0^{10}
9			0^8			10		8				
10	5	0^0					8		0^0		0^1	
11								1		0^1		
12									0^1		1	
13								0^1		0^0		
6F1			3		0^0	0^{10}						

ცხრილი 2.38

	1	2	3	4	5	7	8	9	10	11	12	13	8F1
1		0^2	2						6				
2	0^2		0^2	2					1				
3	2	0^2			7								
4		1			0^0			0^0					
5			6	0^6		7							
6				3		0^{10}							
7					0^∞								
9				0^0			0^∞		8				0^∞
10	5	0^0						8		0^0		0^1	
11									1		0^1		
12										0^1		1	
13									0^1		0^0		
8F1								0^∞					

2.3 ძარის ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტის გავლენა გადაზიდვების ეფექტურობაზე

სატვირთო ავტომობილის ტვირთამწეობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპლუატაციო მაჩვენებელს. ეს არის ტვირთის უდიდესი რაოდენობა, რომელიც შეიძლება ერთდროულად იქნეს გადატანილი სატრანსპორტო საშუალების მიერ.

ტვირთამწეობა დამოკიდებულია ტვირთის მოცულობით წონაზე (სიმკვრივეზე), მის გეომეტრიულ ზომაზე და განისაზღვრება ავტომობილის ორი ძირითადი საპასორტო მახასიათებლით.

- ნომინალური ტვირთამწეობა
- ავტომობილის ძარას შიგა მოცულობა

ტვირთის გეომეტრიული ზომა განსაზღვრავს ავტომობილის ძარას შიგა მოცულობის გამოყენების ხარისხს, რომელიც ფასდება სასარგებლო ფართის ფარდობით ტვირთის მიერ დაკავშირებულ ფართთან.


ტვირთის მოცულობით წონასთან პირდაპირ არის დამოკიდებული ის საკითხი, იქნება თუ არა მთლიანად გამოყენებული ავტომობილის ძარის შიგა მოცულობა გადასაზიდი ტვირთის ზღვრული რაოდენობა შეზღუდული არ არის ავტომობილის ტვირთამწეობით. ავტომობილის ძარა სრულყოფილად იქნება გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის მოცულობითი მასა ტოლი იქნება ხვედრითი მოცულობითი ტვირთამწეობის. თუ ტვირთის სიმკვრივე ნაკლები იქნება, მაშინ ტვირთამწეობა სრულად ვერ იქნება გამოყენებული. რაციონალურად იქნება გამოყენებული ტვირთის გადასაზიდად ავტომობილი, რომლის სიმკვრივე რაოდენობრივად ტოლი არის ხვედრითი მოცულობითი ტვირთამწეობის. ამ შემთხვევაში სრულად გამოიყენება როგორც ტვირთამწეობა, ასევე ძარას შიგა მოცულობა.

თუ ტვირთის მოცულობითი მასა მცირეა, ვიდრე ავტომობილის ხვედრითი მოცულობითი ტვირთამწეობა, მაშინ საჭირო ხდება სპეციალური ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ ტვირთამწეობა სრულად იყოს გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ძარა შევსებული იქნება სრულად, მაგრამ ტვირთამწეობა ნაწილობრივ


იქნება გამოყენებული (მაგ. რბილი სათამაშოების ან ავეჯის გადაზიდვის დროს). გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ავტომობილის ძარას ზომების გაზრდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ავტომობილის სრული სიმაღლე ტვირთთან ერთად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

ავტომობილის ძარაზე ტვირთის კომპაქტური განლაგება ასევე საშუალებას გვაძლევს მაქსიმალური მიახლოებით გამოვიყენოთ სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობა, ტვირთამწეობის გამოყენების კიდევ ერთი ეფექტური მეთოდი არის სატრანსპორტო საშუალების შერჩევა კონკრეტული გადასაზიდი ტვირთისათვის. ეფექტური არის ასევე სპეციალიზირებული მოძრავი შემადგენლობის გამოყენება.

ჩვენს მიერ დამუშავებულია ცვლადი მოცულობის ძარის კონსტრუქცია (ნახ 2.7, ნახ. 2.8) , რომელზეც მიღებულია საავტორო მოწმობა.



ნახ.2.7



ნახ.2.8

ცვლადი მოცულობის ძარა შეიცავს ჩარჩოსთან 1 სახსრულად დაკავშირებულ წინა 2, გვერდითა 3 და უკანა კალთებს, ამასთან უკანა კალთა შედგენილია ჩარჩოსთან 1 ჰორიზონტალური სახსრით 4 დაკავშირებულ განივა მზიდი ელემენტის 5 გვერდითა კიდეებზე ძარის შიგა მხრიდან სახსრებით 6 დაკავშირებული დამატებითი გვერდითა დასაკეცი კედლებისაგან 7 და იგივე მზიდი ელემენტის 5 ზედა კიდეზე ძარის გარე მხრიდან სახსრით 8 დაკავშირებული დამატებითი უკანა დასაკეცი კედლისაგან 9, ამასთან გაშლილ მდგომარეობაში ყოფნისას გვერდითა დასაკეცი კედლებს 7 (ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაადგილებული მზიდი ელემენტისა 5 და მასთან დამაკავშირებელი სახსრების 6 მიმართ) აქვთ, შვეულ მდგომარეობაში გაშლილ უკანა დასაკეცი კედელთან 9 და გვერდითა კალთებთან 3 ფიქსირების შესაძლებლობა. გარდა აღნიშულისა, ჩარჩოს 1 და განივა მზიდ ელემენტს 5 აქვთ ურთიერთ მიმართ საბჯენი ელემენტები 10 და 11.

ცვლადი მოცულობის ძარა მუშაობს შემდეგნაირად. მოცულობის გაზრდის მიზნით მისი ტრანს-ფორმაციის დროს ხდება მზიდი ელემენტის 4 შემობრუნება ჩარჩოსთან 1 მისი დაკავშირებული ჰორი-ზონტალური სახსრის 4 ირგვლივ მობრუნება და უკანა (გარე) მიმართულებით გადაშლა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, თავისი საბჯენი ელემენტით 11 ჩარჩოს საბჯენ ელემენტთან 10 მიბჯენით, ხოლო შემდეგ ხდება მზიდ ელემენტთან 5 დაკავშირებული სახსრის 8 ირგვლივ დამატებითი უკანა დასაკეცი კედლის 9 მობრუნება და გადაშლა

ვერტიკალურ მდგომარეობაში (რის შედეგად წარმოიქმნება საკმაოდ უკან გადატანილი უკანა კალთა), რის შემდეგ კი ხდება გვერდითა დასაკეცი კედლების 7 მობრუნება მზიდ ელემენტთან 5 მათი მაკავშირებელი სახსრების 6 ირგვლივ და დაფიქსირება გვერდითა კალთებთან 3 საერთო სიბრტყეებში, ასევე - უკანა დასაკეცი კედელეთანაც 9.

თუ ჩარჩოს სიგრძეა „L“, ხოლო დამატებითი უკანა დასაკეცი კედლის 9 სიგრძეა „ΔL“, მაშინ ტრანსფორმირებული ძარას საერთო სიგრძე გადხება „L+ΔL“.

ტვირთების გადაადგილება ხდება მარშრუტით, რომელიც წინასწარ არის დადგენილი და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენს მოწყობილ ინფრასტრუქტურას საწყის და საბოლოო პუნქტებს შორის. მარშრუტიზაციის ამოცანის გადაწყვეტა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გადაზიდვის სიშორე, ტვირთის გადაზიდვის მიმართულება და სიხშირე.

მარშრუტიზაციის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება მოძრაობის ორგანიზაცია, ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის დროის მინიმიზაცია, მოძრაობის უსაფრთხოება, სატრანსპორტო საშუალებების ეფექტური გამოყენება, გადაზიდვების გეგმების და გრაფიკების შესრულება.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის დროს დამუშავების და რეალიზაციის პროცესში საჭირო არის ტვირთის გადაადგილების სქემის დამუშავება.

1. ტვირთის გადაზიდვის პირობების და არსებული შეზღუდვების ანალიზი;
2. სატრანსპორტო ტექნოლოგიური სქემის ვარიანტების დამუშავება;
3. გადაზიდვის კონკურენტული ვარიანტების დამუშავება;
4. გადაზიდვის სატრანსპორტო-ტექნიკური სქემის არჩევა;
5. ხელშეკრულების გაფორმება, ინსტრუქციული მასალების დამუშავება;
6. გადაზიდვის შესრულება არჩეული სქემის მიხედვით;
7. გადაზიდვის პროცესის შესრულების დროს გაწეული მომსახურების გაანგარიშება;
8. შესრულებული გადაზიდვის კონტროლი და ანალიზი.

სავაჭრო ქსელში განხორციელებულ გადაზიდვებს აქვს თავისი სპეციფიკა. კერძოდ, შესყიდვები შეიძლება ხორციელდებოდეს ბითუმად უშუალოდ მწარმოებლისაგან; ტვირთის გადმოტვირთვა საკუთარ საწყობში, შენახვა,

მყიდველისაგან დაკვეთის მიღება, დაკვეთების მიხედვით პარტიების ფორმირება, საქონლის მიტანა უშუალოდ მომხმარებელამდე გამანაწილებელი ქსელის საშუალებით.

საქონლის გადაზიდვის სქემის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ტვირთის მახასიათებლები, რაც საშუალებას მოგვცემს ეფექტურად ვმართოთ გადაზიდვის პროცესი.

სატრანსპორტო ტექნოლოგიური სქემა ზოგად შემთხვევაში შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან:

1. სატვირთო ერთეულის ფორმირება. ამ დროს ხდება ტვირთის მომზადება და გადაცემა ტრანსპორტირებისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად დანახარჯებს წარმოადგენს საექსპლუატაციო დანახარჯები და კაპიტალდაბანდება.
2. ფორმირებული სატვირთო ერთეული განთავსება სატრანსპორტო საშუალებაზე. ამ დროს ხდება ორი ლოგისტიკური რგოლის ურთიერთქმედება: ტვირთგამგზავნის საწყობი და გადამზიდვის სატრანსპორტო საშუალება;
3. ტვირთის მიტანა მაგისტრალურ ავტოტრანსპორტამდე. პროცესი მოიცავს ტვირთის დახარისხებას, დაჯგუფებას და სატვირთო ერთეულების გადანაწილებას;
4. ტვირთების გაერთიანება (კონსოლიდაცია) ტერმინალში ერთი მისამართის მიხედვით. პროცესი მოიცავს სატრანსპორტო სასაწყობო ოპერაციებს და ტვირთების მომზადებას მაგისტრალურ ავტოტრანსპორტისათვის;
5. მაგისტრალური ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა;
6. ტვირთების გადმოტვირთვა დანიშნულების ადგილის სასაწყობო ტერმინალებში;
7. ტვირთების გადაზიდვა მაგისტრალური ავტოტრანსპორტით გამანაწილებელ ცენტრებში;
8. ბაზებიდან ტვირთების გადაზიდვა უშუალოდ მომხმარებელამდე. ამ დროს ხდება სატრანსპორტო საშუალებების და დამტვირთავ-განმტვირთავი საშუალებების ურთიერთქმედება. ძირითადად გამოიყენება მცირე და საშუალო ტვირთამწეობის ავტომობილები;
9. კონტროლის განხორციელება მთელი სატრანსპორტო სქემის გასწვრივ. ამ დროს ხდება გადაზიდვის პროცესის ეფექტურობის ანალიზი. ხდება საბოლოო

საფინანსო გაანგარიშებები.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ტრანსპორტირების პროცესს თან ახლავს ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოები.

ტრანსპორტირების ორგანიზების ორი ძირითადი პრინციპი არსებობს:

- ეკონომია ტვირთების გადაზიდვის მასშტაბების ზრდის ხარჯზე;
- ეკონომია მარშრუტის სიშორის ხარჯზე.

ტვირთების გადაზიდვის მასშტაბების ზრდის დროს ხდება სატრანსპორტო ხარჯების შემცირება ტვირთების პარტიების გამსხვილების ხარჯზე. რაც უფრო დიდი არის გასაგზავნი პარტიის სიდიდე, მით უფრო მცირე არის ერთეულზე გაწეული ხარჯები. აღნიშნული განსაკუთრებით ეფექტური არის რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტისათვის. ეკონომია მარშრუტის სიშორიდან გამომდინარე ხდება ტვირთის გადაზიდვის ხარჯების შემცირებით ერთეულ დაშორებაზე.

ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო კომპანია, რომელიც ტვირთის გადაზიდვით ან მგზავრების გადაყვანით არის დაკავებული, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი რესურსები. ეკონომიკური ეფექტურობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დამოკიდებულება დანახარჯებსა და ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფუნქციონირების შედეგებს შორის.

სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტისათვის სატვირთო გადაზიდვების ეფექტურობა ორი მდგენელისაგან შედგება: 1) გადაზიდვის პროცესის ორგანიზაცია და 2) მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლები. ამიტომ ეფექტურობა შეიძლება შევაფასოთ მოცულობით და შესრულებული სამუშაოების ხარისხით. ამასთან ერთად მწარმოებლურობა განისაზღვრება ფორმულით:

$$P = \frac{q\gamma\beta\ell}{1 + t_{cd}v\beta} \quad (2.6)$$

სადაც q – არის ავტომობილის ტვირთამწეობა;

γ – ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი;

β – გარბენის გამოყენების კოეფიციენტი;

ℓ – ტვირთის გადაზიდვის საშუალო მანძილი;

t_{cd} – დატვირთვა განტვირთვაზე დახარჯული დრო.

საავტომობილო გადაზიდვების თვითღირებულება შეიძლება გამოვსახოთ

ფორმულით:

$$S = \frac{S_{\Sigma}(1+t_{cd}v\beta)}{T_P v \beta q \gamma \ell} \quad (2.7)$$

სადაც S – არის 1 ტ.კმ-ის ღირებულება;

S_{Σ} – დანახარჯების საერთო სიდიდე;

T_P – მოძრავი შემადგენლობის ხაზზე მუშაობის დრო.

საავტომობილო ტრანსპორტის საქალაქო პირობებში მუშაობის დროს საექსპლუატაციო ფაქტორები მოქმედებენ მწარმოებლობაზე იმისდა მიუხედავად თუ როგორი ტვირთამწეობა აქვს ავტომობილს. პირველ რიგში მწარმოებლობაზე მოქმედებს გადაზიდვის მანძილი, შემდეგ ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი, გარბენის გამოყენების კოეფიციენტი, დატვირთვა-განტვირთვის დრო და ტექნიკური სიჩქარე. გადაზიდვის თვითღირებულებაზე გავლენას ახდენს ტექნიკური სიჩქარე, ტვირთის გადაზიდვის მანძილი, ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი და გარბენის გამოყენების კოეფიციენტი.

ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლები, რომელიც გავლენას ახდენს საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების ეფექტურობაზე, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1) ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი, ხაზზე გაშვების კოეფიციენტი, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების კოეფიციენტი, გარბენის და ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი, მოცდენის დრო და დატვირთვა-განტვირთვის დროს, განაწესში ყოფნის დრო, ტექნიკური და საექსპლუატაციო სიჩქარეები; 2) სვლების რაოდენობა; გადაზიდვების საერთო სიშორე და ტვირთიანი გარბენი; გადაზიდვების მოცულობა და სატრანსპორტო მუშაობა.

ავტომობილის განაწესში ყოფნის დროს მწარმოებლობა განისაზღვრება ავტომობილის ტვირთამწეობის (q) წარმოებულთ, ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტით და ავტომობილის მიერ შესრულებული გზობების მიხედვით.

$$Q = q \gamma n \quad (2.8)$$

თუ აღნიშნულ ფორმულაში დავამატებთ სვლების რაოდენობას და ერთი გზობის დროს, მაშინ მივიღებთ მწარმოებლობის გამოსახულებას, რომელშიდაც კარგად აისახება მისი დამოკიდებულება მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლებზე:

$$Q = \frac{q\gamma T \beta_b v_t}{\ell_{BT} v_t t_{cd}} \quad (2.9)$$


ამრიგად, მწარმოებლურობაზე მოქმედებს რამდენიმე ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებელი, რომლებიც განსაზღვრავენ მოძრავი შემადგენლობის ცალკეულ მხარეებს. თავის მხრივ თითოეულ აღნიშნულ მაჩვენებელზე მოქმედებს განსაზღვრული ფაქტორები. ამიტომ მთლიანობაში ეს ზემოქმედება აისახება საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების ეფექტურობაზე.

მაღალკონკურენტულ გარემოში ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია, რომ ყურადღება გავამახვილოთ თითოეულ გარე ფაქტორზე, რომელთა მავნე ზეგავლენის შემცირება საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ავტოტრანსპორტის ფუნქციონირების ეფექტურობა.

გადაზიდვის თვითღირებულება შეიძლება შევამციროთ საწვავის ეკონომიურობის, სათადარიგო ნაწილების, საბურავების და ტრანსპორტის ეფექტური ფუნქციონირების ხარჯზე. გადაზიდვის ხარისხი შესაძლებელია გავზარდოთ ტვირთის დროულად და დაუზიანებლად მიტანის ხარჯზე. შესაბამისად საბალანსო მოგება დამოკიდებული იქნება არა მარტო ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლებზე, არამედ სატრანსპორტო-საექსპედიტორო და სხვა სახის საქმიანობაზე.

საავტომობილო ტრანსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მახასიათებელი არის რენტაბელობა. რენტაბელობის მაჩვენებლებში კარგად ჩანს კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები. აღნიშნული მაჩვენებლები ანალიზი საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ საინვესტიციო პოლიტიკა და ფასწარმოქმნა.

რენტაბელობის მაჩვენებლების მრავალფეროვნება განსაზღვრავს მისი ამალღების ალტერნატიული გზების ძიებას. ტრანსპორტის ფუნქციონირების ეტაპზე მიღებული ცნობები, სადისპეტჩერო სამსახურის მონაცემები, საექსპლუატაციო ჯგუფის საადრიცხვო დოკუმენტაცია საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ გადაზიდვების მოცულობის შესრულება და მოვახდინოთ ოპერატიული დაგეგმვა.



ნახ.2 . მაჩვენებლების გავლენის სქემა

ზემოთაღნიშნული ანალიზის დროს საჭიროა გამოვავლინოთ

- ოპერატიული დაგეგმვის ხარისხი;
- ოპერატიული გეგმის შესრულების მდგომარეობა დღე-ღამის განმავლობაში;
- ოპერატიული გეგმის შესრულების მდგომარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტვირთების და ცენტრალიზირებული გადაზიდვების კუთხით;
- ერთთვიანი გეგმის შესრულების და მუშაობის ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები;
- გეგმის შეუსრულებლობის მიზეზების დადგენა. მოცდენები ხაზზე.

რენტაბელურობის შეფასების შედეგები მიმართული უნდა იყოს ავტოტრანსპორტის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მისი მწარმოებლურობის კუთხით.

თანამედროვე პირობებში უპირატესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ სატრანსპორტო პროდუქციის განახლებას, კლიენტის მოთხოვნების შესწავლას. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს პროდუქციის შენახვაზე, გადამუშავებაზე, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების ორგანიზებაზე, საინფორმაციო მომსახურებაზე და სხვა.

ახალი ტიპის სატრანსპორტო მომსახურების ეკონომიკური ეფექტურობა შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$E=P-Z \quad (2.10)$$

სადაც E– არის ეკონომიკური ეფექტი, რომელიც მიიღება ახალი ტიპის მომსახურების დანერგვით;

P – შემოსავლები, რომელიც მიიღება ახალი ტიპის მომსახურების დანერგვით;

Z– დანახარჯების ღირებულება.

2.4. მე-2 თავის დასკვნები

1. შესრულებულია სატვირთო გადაზიდვების მარშრუტიზაციის დროს გამოყენებული კლასიკური მეთოდის, „შტოების და საზღვრების“, მოდერნიზაცია. არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოტანილია სატრანსპორტო ქსელში ფიქტიური კვანძები (უბნები), რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო ქსელის თავისებურებებს.
2. დამუშავებულია და რეალიზებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ წრიული მარშრუტების შერწყმა. ნაჩვენები და მეცნიერულად დასაბუთებულია გადაზიდვის პროცესის ეფექტურობა მარშრუტების შერწყმის და დამატებით ტვირთებზე პუნქტებში შევლის შემთხვევაში. მარშრუტიზაციის ამოცანა გადაწყვეტილია მარშრუტიზაციის ამოცანის გადაწყვეტის ალგორითმის სრულყოფით.
3. სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტისათვის სატვირთო გადაზიდვების ეფექტურობა ორი ძირითადი მდგენელისაგან შედგება: გადაზიდვის პროცესის ორგანიზაცია და მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლები.

თავი 3. მცირე პარტიებით მიწოდებისას მარშრუტების გაერთიანების მოდელის დამუშავება

3.1. ორი მწარმოებლიდან ტვირთების ერთობლივად დარიგების თეორიის სრულყოფა

ტვირთების გადაზიდვის ეფექტურობის ზრდას და მოძრავი შემადგენლობის მწარმოებლურობის ამაღლებას შეიძლება მივაწიოთ ტვირთების გადაზიდვის მოცულობის გაზრდით და უქმი გარბენის შემცირების გზით. გადაზიდვების პროცესის ერთ-ერთ ეფექტურ სახეს წარმოადგენს ქანქარისებური მარშრუტის სახე უკუმიმართულებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ გადაზიდვის პროცესის ეფექტურად წარმართვას ჩამორიგებითი მარშრუტის შესრულების პროცესში, როდესაც გადაქვაქვს ტვირთი მცირე პარტიებად, საჭიროა გადაზიდვის გზაზე მოვახდინოთ მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა სხვა მწარმოებლისაგან. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების დამატებით დატვირთვა ქანქარისებური მარშრუტისაგან განსხვავებით (დატვირთვა ხდება ტვირთის განტვირთვის ადგილზე) ხდება მარშრუტის შესრულების გზაზე. ამ შემთხვევაში ავტომობილის მარაზე აუცილებლად დევს ორი სხვადასხვა ტვირთი: ძირითადი და დამატებითი. ამიტომ მარშრუტის შემდეგ პუნქტში უკვე ხდება ორი სხვადასხვა ტვირთის განტვირთვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ტვირთის მოხმარების ადგილზე მცირდება დროის სიდიდე. უნდა შევნიშნოთ, რომ ტვირთების გადაზიდვის დღეისათვის არსებულ თეორიაში ეს საკითხი შესწავლილი არ არის. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ასეთი წესით გადაზიდულ ტვირთებს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი მახასიათებელი.

რამდენიმე მწარმოებლიდან ტვირთების გადაზიდვის დროს შერწყმულ მარშრუტებზე გადაზიდვის პროცესი რთული ხასიათისაა. ამიტომ მაგალითის სახით განვიხილავთ მარტივ ვარიანტს, როდესაც ტვირთის გადატვირთვა ხორციელდება ორი მწარმოებლისაგან.

გადაზიდვის მარშრუტის ორგანიზების დროს, როდესაც გვაქვს ორი

დატვირთვის ადგილი, საჭიროა პასუხი გაეცესე ორ კითხვას:

1. როგორი უნდა იყოს დატვირთვის მეორე პუნქტში შესვლის დრო, რომ შერწყმა იყოს მიზანშეწონილი?
2. სატრანსპორტო ქსელის რომელი პუნქტიდან უნდა მოხდეს ამ პროცესის ჩატარება?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ პირველ კითხვას, საჭიროა ვიცოდეთ ავტომობილის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები ძირითადი და დამატებითი ტვირთების გადაზიდვის დროს მათ გაერთიანებულ ვარიანტთან შედარებით, როდესაც მარშრუტზე მუშაობს ერთი ავტომობილი. დატვირთვის მეორე აუნქტის განსაზღვრისათვის საჭიროა გადავჭრათ მარშრუტიზაციის ამოცანა იმის გათვალისწინებით რა მოცულობის თავისუფალი ადგილი გვაქვს ავტომობილის ძარაში განვიხილოთ პირველი ამოცანის ამოხსნა. მიზანშეწონილობის კრიტერიუმად ავიღოთ დრო, რომელიც მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის გადაზიდვის პროცესის დახასიათებისათვის თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებში. ეს მახასიათებელი კარგად არის ასახული ზოგადად გადაზიდვის ტარიფში.

ცნობილია, რომ გადაზიდვის პროცესის დრო ზოგადად შედგება სამი ტექნოლოგიურად საჭირო დროების ჯამისაგან:

$$t = t_{\text{ორ.მოც}} + t_{\text{ტექ.მოც}} + t_{\text{მოდ.}} \quad (3.1)$$

სადაც $t_{\text{ორ.მოც}}$ – ორგანიზაციული მოცდენები (შესვლის დრო) და დრო დოკუმენტების გაფორმებაზე;

$t_{\text{ტექ.მოც}}$ – არის დატვირთვა-განტვირთვაზე დახარჯული დრო (სთ);

$t_{\text{მოდ.}}$ – არის მოძრაობის დრო (სთ).

ძირითადი და დამატებითი მარშრუტების შერწყმის დროს შეიძლება შევამციროთ დრო ორგანიზაციული მოცდენების შემცირების ხარჯზე. ამიტომ შერწყმის შეფასების კრიტერიუმად მიზანშეწონილია მივიღოთ პირობა

$$\Delta t = \Delta t_{\text{ორ.მოც}} - t_{\text{მოდ.დრ}} \geq 0 \quad (3.2)$$

ამრიგად, ცვალებადობა დროში, რომელიც დაიზოგება ორგანიზაციულ მოცდენებზე და მოძრაობაზე მეტი ან ტოლი უნდა იყოს 0-ის. (3.2) განტოლებაში

$$\Delta t_{\text{ორ.მოც}} = \sum_{i=1}^P t_{\text{ორ.მოც } i} (T_i - 1) \quad (3.3)$$

სადაც T_i – არის i -ურ პუნქტში ერთდროულად გადმოტვირთული ტვირთის

მოცულობა (ტ);

$t_{ორ.მოც.i}$ – არის გადმოტვირთვის პუნქტში შესვლაზე დახარჯული დრო (სთ);

P – ერთობლივად გადმოსატვირთი პუნქტების რაოდენობა.

მოძრაობის დროის ცვლილება არის

$$\Delta t_{მოძ.დრ} = t_{მოძ.შერ.მარ.} - (t_{მოძ.ძირ.მარ.} + t_{დამ.მარ.}) \quad (3.4)$$

სადაც $t_{მოძ.შერ.მარ.}$ – არის მოძრაობის დრო შერეულ მარშრუტზე;

$t_{მოძ.დრ.ძირ.}$ – მოძრაობის დრო ძირითად მარშრუტზე;


$t_{დამ.მარ.}$ – მოძრაობის დრო დამატებით მარშრუტზე.

ტვირთის ასაღებად მიზანშეწონილობის კრიტერიუმის ქვედა საზღვარი მიიღება პირობიდან (3.2), თუ მას გავუტოლებთ 0-ს. შედეგად ვღებულობთ შერწყმის მიზანშეწონილობის განტოლებას.


$$\sum_{i=1}^P t_{ორგ.მოც.i} (T_i - 1) - t_{მოძ.შერ.მარ.} + (t_{მოძ.ძირ.მარ.} + t_{დამ.მარ.}) = 0 \quad (3.5)$$

ამრიგად, ორი მარშრუტიდან ერთის ფორმირება დაიყვანება დროის დანახარჯების შემცირებაზე მათი შეერთების დროს განტოლებიდან (3.5). ის დამოკიდებული იქნება ძირითად და დამატებით მარშრუტებზე ს ატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სქემაზე.


განვიხილოთ მოძრაობის კავშირი. ნახ.3.1-ზე მოცემული არის განზოგადოებული სქემა, როცა ძირითადი და დამატებითი ტვირთის განტვირთვის პუნქტები არ ემთხვევიან ერთმანეთს. ამასთან ერთად დამატებითი ტვირთის აღებისათვის შეცვლა ხდება რაღაც შუალედურ პუნქტში m . აღნიშნულ შემთხვევაში A წვეროში განლაგებულია ავტოსატრანსპორტო საწარმო (ასს), B -ში – ძირითადი ტვირთის დატვირთვის პუნქტი; C – ძირითადი ტვირთის განტვირთვის პუნქტი პირველ ეტაპზე და დამატებითი ტვირთის განტვირთვის უკანასკნელი პუნქტი მესამე ეტაპზე. D – წვერო, სადაც იტვირთება დამატებითი ტვირთი; E – ორივე ტვირთის ერთდროულად განტვირთვის პირველი პუნქტი (ერთობლივი ჩამორიგების პირველი პუნქტი); K – ერთობლივი გადაზიდვის საბოლოო პუნქტი; n – ძირითადი ტვირთის განტვირთვის პირველი პუნქტი; F – მესამე ეტაპზე განტვირთვის პირველი პუნქტი, როდესაც გადაიზიდება მხოლოდ დამატებითი ტვირთი.



ნახ.3.1. ერთობლივი ჩამოტარების გრაფი



ნახ.3.2. ძირითადი მარშრუტის გრაფი



ნახ.3.3. დამატებითი მარშრუტის გრაფი

ზოგად შემთხვევაში მცირე პარტიებად ტვირთების გადაზიდვის შემთხვევაში ერთობლივი მარშრუტი შეიძლება გავყოთ სამ ეტაპად: პირველი ეტაპი – როდესაც არიგებენ მხოლოდ ძირითად ტვირთს; მეორე ეტაპი – როდესაც ხდება ერთობლივი განტვირთვა-განტვირთვა ორი ტვირთის არსებობისას და მესამე – როდესაც ხდება მხოლოდ დამატებითი ტვირთის ჩამორიგება.

დრო, რომელიც დაიხარჯება ძირითად მარშრუტზე, ტოლი იქნება:

$$t^{OCH} = t_{AB}^{oo} + (t_{Bm}^{zo} + t_{mn}^{zo} + t_{nB}^{xo})\Pi - t_{nB}^{xo} + t_{nA}^{oo} \quad (3.6)$$

ანალოგიურად დამატებით მარშრუტზე

$$t^{доп} = t_{AD}^{od} + (t_{DK}^{\Gamma D} + t_{KD}^{XII} + t_{DF}^{\Gamma D} + t_{FC}^{\Gamma D} + t_{CD}^{XII})\Pi - t_{CD}^{XII} + t_{CA}^{od} \quad (3.7)$$

ბოლო შერეულ მარშრუტზე დახარჯული დრო

$$t^{COB} = t_{AB}^{OC} + (t_{Bm}^{rc} + t_{mD}^{3c} + t_{Dn}^{rc} + t_{nD}^{xc} + t_{DF}^{rc} + t_{Fc}^{rc} + t_{CB}^{xc}) \Pi - t_{CB}^{xc} + t_{CA}^{oc} \quad (3.8)$$

ფორმულაში (3.6–3.8) „ Π “ – მიუთითებს შესვლის ციკლების რაოდენობას. ასო „ Γ “ – ზედა ინდექსში მიუთითებს ტვირთთან გარბენს. როგორც ჩანს ნახ.3.1-დან და ფორმულიდან (3.8), დრო, რომელიც იხარჯება ერთობლივ მარშრუტზე, იკრიბება შემდეგი დროებისაგან: ნულოვანი გარბენი ავტოსატრანსპორტო საწარმოდან დატვირთვის პირველ პუნქტამდე t_{AB}^{oc} ; ტვირთიანი გარბენის დრო დამატებითი ტვირთის დატვირთვის პუნქტში შესვლამდე t_{mD}^{3c} ; ტვირთიანი გარბენი D წვეროდან ერთობლივი ჩამოტარების პუნქტამდე $t_{Dm}^{rc}(n)$; უქმი გარბენის დრო n პუნქტიდან D წვერომდე t_{nD} , როცა საჭირო არის დამატებითი ტვირთის დამატება მესამე ეტაპზე ჩამორიგებისათვის; ტვირთიანი გარბენის დრო D წვეროდან C პუნქტამდე, როცა გადაიზიდება მხოლოდ დამატებითი ტვირთი ($t_{DF}^{rc} + t_{Fc}^{rc}$); უქმი გარბენის დრო t_{CB}^{xc} , როცა საჭირო არის შევასრულოთ მოცემულ მარშრუტზე არა ერთი ციკლი; ნულოვანი გარბენი t_{CA}^{oc} , როცა $\Pi=1$ და ავტომობილი ბრუნდება ავტოსატრანსპორტო საწარმოში.

ერთი მარშრუტის ფორმირების ამოცანა, ჩვენი შემთხვევისათვის ორი მარშრუტიდან, დაიყვანება დროის შემცირების განსაზღვრაზე და დამატებითი ტვირთის ასაღებად შეცვლისათვის საჭირო დროის მაქსიმალურად დასაშვები სიდიდის განსაზღვრაზე.

მოდრაობის დროის ცვლილების ფორმულა (3.4)-ის მიხედვით:

$$\Delta t' = t_{mD}^{3c} \cdot \Pi - t_{nA}^{oo} - t_{AD}^{ol} + (W - 1)(t_{CB}^{xc} - t_{nB}^{xo} - t_{CD}^{xl}) + (t_{Dn}^{rc} - t_{DK}^{ro} - t_{mn}^{ro}) \cdot \Pi + (t_{nD}^{xc} - t_{KD}^{xo}) \cdot \Pi \quad (3.9)$$

დროის ეკონომია (3.2) ფორმულის მიხედვით იქნება

$$\Delta t = \Pi \cdot \sum_{i=1}^{\Pi} t_i^{3p} - t_{mD}^{xc} \cdot \Pi + t_{nA}^{oo} + t_{AD}^{nl} - (\Pi - 1)(t_{CB}^{xc} - t_{nB}^{xo} - t_{CD}^{xl}) - (t_{Dn}^{rc} - t_{DK}^{rl} - t_{mn}^{ro}) \cdot \Pi - (t_{nD}^{xc} - t_{KD}^{xl}) \cdot \Pi \quad (3.10)$$

მაშინ მიზანშეწონილობის კრიტერიუმი (3.5) ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\left[t_{mD}^{3c} \right] = \frac{t_{nA}^{oo} + t_{AD}^{ol} - (\Pi - 1)(t_{CB}^{xc} - t_{nB}^{xo} - t_{CD}^{xl})}{\Pi} + \sum_{i=1}^{\Pi} t_i^{3p} - t_{Dn}^{rc} + t_{DK}^{rl} + t_{mn}^{ro} - t_{nD}^{xc} + t_{KD}^{xl} \quad (3.11)$$

(3.11) ფორმულის ანალიზიდან ჩანს, რომ მაქსიმალურად დასაშვები დრო დამოკიდებულია დროზე, რომელიც იხარჯება ტვირთთან, უქმ და ნულოვან გარბენზე, ასევე დამატებითი ტვირთისათვის შესაცვლელად და მოძრაობის ციკლების რაოდენობაზე.

კერძო შემთხვევაში ერთი შევლის დროს, როცა $\Pi=1$, მივიღებთ:

$$[t_{mD}^{3c}] = \sum_{i=1}^{\Pi} t_i^{3p} + t_{nA}^{oo} + t_{AD}^{oi} - t_{Dn}^{\Gamma c} + t_{DK}^{\Gamma o} + t_{mn}^{\Gamma o} - t_{nD}^{xc} + t_{KD}^{xi} \quad (3.12)$$

თუ გავაკეთებთ (3.11) და (3.12) ფორმულების ანალიზს, მარშრუტების გაერთიანების ეფექტურობა და მაქსიმალურად დასაშვები დრო იზრდება თუ იზრდება ფორმულაში მითითებული შემდეგი კომპონენტები.

– პუნქტებში შესვლაზე და გადმოტვირთვაზე დახარჯული დრო და ციკლების

$$\text{რაოდენობა } \sum_{i=1}^n t_i^{3p}.$$

– საბოლოო განტვირთვის პუნქტის სიშორე t_{nA}^{oo} .

– დატვირთვის მეორე პუნქტის განლაგების დაშორება t_{AD}^{oi} .

– ტვირთიანი გარბენის დროის ეკონომია ორი ტვირთის ერთდროულად ჩამოქარების დროს $\Delta t^{\Gamma} = t_{mn}^{\Gamma o} + t_{DK}^{\Gamma B} - t_{Dn}^{\Gamma c}$

– დროის ეკონომიის სიდიდე დამატებით და შერწმულ მარშრუტებზე უქმი გარბენის დროს მეორე ტვირთის დატვირთვის პუნქტამდე $\Delta t^K = t_{KD}^{xi} - t_{nD}$.

ამრიგად, მარშრუტების გაერთიანება მიზანშეწონილია ავტოსატრანსპორტო საწარმოდან ყველაზე შორს არსებულ განტვირთვის და მეორე ტვირთის დატვირთვის პუნქტებისათვის. ამასთან ერთად, ხელსაყრელია ამისათვის გამოვიყენოთ მაღალი ტვირთამწეობის ავტომობილები, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ტვირთის დაცლის პუნქტები.

განვიხილოთ დროის ეკონომიის მიღების ამოცანა ისეთი გადამზიდვის დროს, როცა ტვირთის მეორე მწარმოებელს ავტოსატრანსპორტო საწარმო არ ემსახურებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო სქემას აქვს ანალოგიური სახე, რაც ნაჩვენებია ნახ.3.1-ზე. დროის ცვალებადობა ტოლი იქნება:

$$\Delta t = \Pi \cdot \sum_{i=1}^{\Pi} t_i^{3p} - t_{mD}^{3c} \cdot \Pi + t_{nA}^{oo} - t_{CA}^{oc} - (\Pi - 1)(t_{CB}^{xc} - t_{nB}^{xo}) - \Pi(t_{Dn}^{\Gamma c} + t_{DF}^{\Gamma c} + t_{FC}^{\Gamma c} - t_{mn}^{\Gamma o}) - t_{nD}^{xc} \cdot \Pi \quad (3.13)$$

აქედან განვსაზღვრავთ დამატებით ტვირთზე შევლისათვის მაქსიმალურად დასაშვები დროის სიდიდეს:

$$[t_{mD}^{3c}] = \frac{t_{nA}^{oo} - t_{CA}^{oc} - (\Pi - 1)(t_{CB}^{xc} - t_{nB}^{xo})}{\Pi} + \sum_{i=1}^{\Pi} t_i^{3p} - t_{Dn}^{\Gamma c} - t_{DF}^{\Gamma c} + t_{FC}^{\Gamma c} + t_{mn}^{\Gamma o} - t_{nD}^{xc}. \quad (3.14)$$

(3.14) ფორმულის სტრუქტურა ანალოგიურია (3.11) გამოსახულების და ცხადია, რომ გადაზიდვის პროცესის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება უქმი გარბენის, ნულოვანი და ტვირთიანი გარბენის სიდიდეზე და მოძრაობის ციკლების რაოდენობაზე. როცა $\Pi=1$, ვპოულობთ:

$$[t_{mD}^{3c}] = \sum_{i=1}^{\Pi} t_i^{3p} + t_{mA}^{oo} - t_{CA}^{oc} - t_{Dm}^{\Gamma c} - t_{DF}^{\Gamma c} - t_{FC}^{\Gamma c} + t_{mn}^{\Gamma o} - t_{nD}^{xc}. \quad (3.15)$$

(3.14) და (3.15) ფორმულის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ დამატებითი ტვირთის აღებისათვის შევლის მაქსიმალურად დასაშვები დრო იზრდება იმ შემთხვევაში, თუ იზრდება:

- ტვირთის ასაღებად შევლის დრო და რაოდენობა $\sum_{i=1}^n t_i^{3p}$;
- ძირითადი ტვირთის გადატანის საბოლოო პუნქტის დაშორება t_{nA}^{oo} ;
- თუ იზრდება დროებს შორის სხვაობა ტვირთიან გარბენებს შორის, როცა სატრანსპორტო საშუალება დატვირთულია ერთი და ორი ტვირთით

$$\Delta t^{\Gamma} = t_{mn}^{\Gamma o} - (t_{Dn}^{\Gamma c} + t_{DF}^{\Gamma c} + t_{FC}^{\Gamma c})$$

- უქმი სვლის დროის შემცირება t_{nD}^{xc} .

ამრიგად, ტვირთების ერთობლივად გადაზიდვის სხვადასხვა მარშრუტების განხილვის დროს, შემოთავაზებული (3.2) კრიტერიუმის გათვალისწინებით, დგინდება:

- მარშრუტების პირველი სახის შერჩემის დროს მიზანშეწონილია გავაერთიანოთ პუნქტები, რომელიც ავტოსატრანსპორტო საწარმოს განლაგების ადგილიდან ყველაზე შორს იმყოფებიან.
- მაღალ ეფექტს იძლევა, რომელსაც ძირითადი და დამატებითი ტვირთების

განტვირთვის ადგილი ერთმანეთს ემთხვევა.

- მარშრუტის ეფექტურობა იზრდება, თუ იზრდება პუნქტების რაოდენობა.
- მეორე სახის შეერთება ნაკლებ ეფექტური არის პირველთან შედარებით.
- მარშრუტების შეერთების (შერწყმის) პროცესის ეფექტურობა იზრდება თუ გამოვიყენებთ მაღალი ტვირთამწეობის ავტომობილებს.

ზემოთ განხილული ვარიანტებიდან განსხვავებით, გაცილებით რთული არის ის ვარიანტი, როდესაც ორივე ტვირთის მწარმოებელს აქვთ როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი მარშრუტები (ნახ.3.9). ამასთან ერთად ქვედა ინდექსი მიუთითებს მწარმოებლის ნომერს.

შერწყმის შედეგად მიღებული დროის ეკონომია

$$\Delta t^\ell = t^c - (t_1^o + t_2^o + t_1^\partial + t_2^\partial). \quad (3.38)$$

თუ მარშრუტების შერწყმის დროს პუნქტების შემოვლის თანმიმდევრობა არ ემთხვევა, მაშინ (3.38), მიიღებს სახეს:

$$\Delta t^\ell = \Pi \sum t^{rc} - \Pi \sum t^{ro} - \Pi \sum t^{r\partial} + \Pi \sum t^{3c} - (1 - \Pi) \left(t^{xc} - \sum t^{xo} - \sum t^{x\partial} \right) - \sum t_1^o + \sum t_2^o \quad (3.39)$$

სადაც $\sum t^{rc} = t_{Bm}^{rc} + t_{Dc}^{rc} + t_{Dr}^{rc} + t_{By}^{rc}$;

$$\sum t^{ro} = t_{Bn}^{ro} + t_{D\partial}^{ro};$$

$$\sum t^{r\partial} = t_{Db}^{r\partial} + t_{Ba}^{r\partial};$$

$$\sum t^{3c} = t_{mD}^{3c} + t_{eD}^{3c} + t_{rB}^{3c}; \quad (3.40)$$

$$\sum t^{xo} = t_{nB}^{xo} + t_{\partial D}^{xo};$$


$$\sum t^{r\partial} = t_{BD}^{r\partial} + t_{ab}^{r\partial};$$

$$\sum t_1^o = t_{AD}^{oo} + t_{AD}^{o\partial} + t_{AB}^{o\partial};$$


$$\sum t_2^o = t_{yA}^{oc} - t_{nA}^{oo} - t_{\partial A}^{oo} - t_{bA}^{o\partial} - t_{aA}^{o\partial}.$$

თუ (3.39) გამოსახულებას ჩავწერთ (3.2)-ში, როცა $\Delta t=0$, მივიღებთ შევლის მაქსიმალურად დასაშვებ დროს.


$$\left[\sum t^{3c} \right] = \sum t^{3p} - \sum t^{rc} + \sum t^{ro} + \sum t^{r\partial} + (1 - \Pi) \frac{t^{xc} - \sum t^{xo} - \sum t^{x\partial}}{\Pi} - \frac{\sum t_1^o}{\Pi} + \frac{\sum t_2^o}{\Pi}. \quad (3.41)$$




ძირითადი მარშრუტი t_1^o



ძირითადი მარშრუტი t_2^o




დამატებითი მარშრუტი t_1^o



დამატებითი მარშრუტი t_2^o

ნახ.3.9. ძირითადი და დამატებითი მარშრუტების მდგომარეობა შერწყმამდე



ნახ.3.10. შერწყმული მარშრუტი t^c

როცა $\Pi=1$, მაშინ (3.41) განტოლებიდან გვაქვს:

$$\left[\sum t^{3c} \right] = \sum t^{3p} - \sum t^{rc} + \sum t^{ro} + \sum t^{r\partial} - \sum t_1^o + \sum t_2^o. \quad (3.42)$$

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაშვები დრო ძირითად, დამატებით და შერეულ მარშრუტებზე დამოკიდებულია ტვირთთან, უქმ და ნულოვანი გარბენის დროის სიდიდეზე. ასევე დროზე, რომელიც საჭირო არის პუნქტებში შევლაზე და შესრულებული ციკლების რაოდენობაზე.

იმის გამო, რომ გადაზიდვის პროცესის ორგანიზებისას გვიხდება ზემოთაღწერილი მრავალი სიდიდის გამოთვლა და გათვალისწინება, მაგალითისათვის განვიხილავთ უფრო მარტივ ვარიანტს (სქემა 3.6), როცა პირველ და მეორე სახის ტვირთების განტვირთვის ადგილი ერთმანეთს ემთხვევა და $\Pi=1$. (3.24) განტოლება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\left[t_{mD}^{3c} \right] = \sum_{i=1}^n t_i^{3p} + t_0 + \frac{\ell_{mn}^r}{V} \quad (3.43)$$

სადაც $t^0 = t_{nA}^{oo} + t_{AD}^{o\partial}$ – ნულოვანი გარბენის დროა ძირითადი და დამატებითი ტვირთების გადაზიდვის დროს (სთ);


ℓ_{mn}^r – მეორე დატვირთული უბანის სიგრძეა, ორივე სახეობის ტვირთის გადმოტვირთვის დროს (კმ);

V – ავტომობილის ტექნიკური სიჩქარეა, კმ/სთ.

მიღებული დამოკიდებულების ანალიზისათვის (3.24) გამოვიყენოთ მახასიათებელი გრაფიკი (ნახ.3.11).

ავილოთ შემდეგი ძირითადი მონაცემები: $V=40$ კმ/სთ; $t^0=0,1$ სთ. ცვლადის სახით გამოიყენება ℓ_{mn}^r – ტვირთიანი გარბენის სიგრძე; Π – განტვირთვის პუნქტების რაოდენობა; t^{3p} – დასატვირთად შესვლის დრო. როცა $\Pi=4$, $\ell_{mn}^r=8$ კმ და $t^{3p}=3$ წთ, დამატებითი ტვირთისათვის შესვლის დრო არ უნდა იყოს 0,5 სთ-ზე მეტი, იმისათვის, რომ გავზარდოთ დრო $\left[t_{mD}^{3c} \right]$ 0,7 სთ-მდე, საჭიროა შევცვალოთ დაშორების სიდიდე ℓ_{mn}^r 16 კმ-მდე (2-ჯერ) ან პუნქტების რაოდენობა 8-მდე, ან შესვლის დრო 6 წთ-მდე.

მიღებული შედეგები ადასტურებენ წინა მსჯელობებიდან მიღებულ დასკვნებს.



ნახ.3.11. მახასიათებელი გრაფიკი

3.2. მიწოდების პუნქტების განსაზღვრა და მარშრუტების გაერთიანების ეკონომიკური შეფასება


ოპტიმალური სამარშრუტო სქემის შესარჩევად შესაძლებელია კრიტერიუმის სახით ავირჩიოთ მარშრუტის სიგრძე ან მარშრუტის გავლისათვის საჭირო დრო. მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტი შეირჩევა „ფიქტიური შტოების“ მეთოდის გამოყენებით.

მაგალითისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმად ვირჩევთ მარშრუტის უმცირეს სიგრძეს. განვიხილოთ ერთობლივი გადაზიდვის ამოცანა, როდესაც ძირითად და დამატებით მარშრუტებს აქვთ ერთი და იგივე საწყისი პუნქტი – ავტოსატრანსპორტო კომპანიის დისლოკაციის ადგილი. გადაზიდვისათვის გამოიყენება ავტომობილი „ფორდ ტრანზიტი“ წონით 1,65 ტონა და ტვირთამწეობით 1,85 ტონა. პირველი ტვირთის წონა შეადგენს 1,8 ტონას, ხოლო მეორეს წონა არის 0,9 ტ. დრო t^{np} ტოლი არის 0,5 სთ ერთ ტონაზე. პუნქტში შესვლის დრო $t=0,05$ სთ-ს. ტექნიკური სიჩქარე $V=30$ კმ/სთ. შემოთავაზებულია, რომ ამოცანის ამოხსნა ჩატარდეს შვიდ ეტაპად, რომლის ბლოკ-სქემა მოცემულია ნახ.3.12-ზე.


ძირითადი ტვირთის ოპტიმალური მარშრუტი სიგრძით 43 კმ ნაჩვენებია ნახ.3.13-ზე: 6-11-7-8-9-10-1-2-3-4-5-4-6. აქ მე-6 პუნქტში განლაგებულია ავტოსატრანსპორტო კომპანია, ხოლო მე-11 პუნქტში განთავსებული არის ძირითადი ტვირთის მოთავსების ბაზა. დამატებითი ტვირთი გადაადგილდება მარშრუტზე სიგრძით 40 კმ 3.14 სქემის შესაბამისად: 6-3-9-10-1-2-4-5-4-6. მესამე ეტაპზე დამატებითი ტვირთის ასაღებად შესვლისათვის პუნქტის განსაზღვრის მიზნით 3.13 სატრანსპორტო სქემაში შეგვაქვს პუნქტი 3, სადაც განლაგებულია მეორე, დამატებითი და ტვირთის ბაზა. დადგენილია, რომ ამ პუნქტში შესვლა უნდა მოხდეს მე-8 პუნქტიდან (ნახ.3.15).

მე-4 ეტაპზე დადგენილია, რომ მე-8 პუნქტში სატრანსპორტო საშუალების შესვლის შემდეგ ძარაზე ადგილი გამონთავისუფლდა. თუ ადგილი საკმარისი არ არის, მაშინ შეიძლება სვლა განხორციელდეს სვლის მიმართულებით 9-3 განშტოებაზე. სატრანსპორტო სქემაზე 3.14-ის შესაბამისად ემატება პირველი ტვირთის განტვირთვის პუნქტები, რომლებიც განთავსებული არის მეორე ტვირთის


განლაგების ადგილის იქეთ (3.16).




ნახ.3.12. ბლოკ-სქემა




ნახ.3.13



ნახ.3.14



ნახ.3.15



ნახ.3.16

ერთობლივი მარშრუტი სიგრძით 44 კმ მიიღება ძირითადი ტვირთის გადაზიდვის მანძილისა (მე-3 პუნქტამდე) და მას შემდეგ გადაზიდვის მანძილების შეჯამებით (ნახ.3.16)-ის მიხედვით: 6-11-7-8-3-9-10-1-2-4-5-4-6. შეიძლება გამოვყოთ ოთხი დამახასიათებელი უბანი: პირველი – ნულოვანი გარბენი ავტოსატრანსპორტო კომპანიიდან პირველი ტვირთის დატვირთვის პუნქტამდე – 11, მეორე – ძირითადი ტვირთის გადაზიდვა 11-დან მე-3 პუნქტამდე. 3 და 5 პუნქტებს შორის ტვირთის ერთობლივი გადაზიდვა და მეოთხე – მეორე ნულოვანი გარბენი მე-5 პუნქტიდან ტრანსპორტის დისლოკაციის ადგილამდე. მე-7 ეტაპზე ხდება მიღებული მარშრუტის ეკონომიკური ეფექტის დასაბუთება [80].

3.3. გადაზიდვის პროცესის ორგანიზაციის ეფექტურობის შეფასება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუშაობის შეფასების საზომად ხშირად გამოიყენება შესრულებული სამუშაო ტონებში ან ტონა-კილომეტრებში. უნდა აღინიშნოს, რომ გადაზიდვის მანძილის გაზრდით პირველი მაჩვენებელი მცირდება, ხოლო მეორე იზრდება. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს კლასიკური მეთოდის წინააღმდეგობრივ მხარეს. ამიტომ ეს მაჩვენებლები ვერ ახასიათებენ პროცესს სრულყოფილად და ობიექტურად წრიულ მარშრუტებზე გადაზიდვების შესრულებისას. ამიტომ საჭიროა სხვა კრიტერიუმების დამუშავება, რომელიც კარგად დაახასიათებს გადაზიდვის დროს შესრულებულ მუშაობას.

ავტომობილის სრული მუშაობა ტოლი არის

$$P = P^{abm} + P^{mp} \quad (3.63)$$

სადაც P^{abm} – არის მუშაობა, რომელიც იხარჯება ავტომობილის გადაადგილებაზე, (ტ.კმ);

P^{mp} – სატრანსპორტო მუშაობა, რომელიც იხარჯება ტვირთის გადაადგილებაზე, (ტ.კმ).

ზემოთ მოყვანილ განტოლებას მივცეთ შემდეგი სახე:

$$\frac{P}{P^{amp}} = 1 + \frac{P^{mp}}{P^{amp}} \quad (3.64)$$

ამრიგად, რაც უფრო მეტი სატრანსპორტო მუშაობა მოდის ავტომობილის ერთეულ მუშაობაზე, მით უფრო ეფექტური არის გადაზიდვის პროცესი. სიდიდეების დაახასიათებისათვის (3.64) განტოლებაში შემოვიტანოთ სატრანსპორტო მუშაობის ფარდობითობის კოეფიციენტი

$$K^{mp} = \frac{P^{mp}}{P^{amp}} = \frac{\sum_{j=1}^n q_{ij} \ell_{ij}}{G_{CHL}} \quad (3.65)$$

სადაც q_{ij} – არის განტვირთვის j -ურ პუნქტში ტვირთის მასა, ტ;

L – მარშრუტის სიგრძე, კმ;

G_{CH} – გამართული ავტომობილის წონა, ტ;

ℓ_{ij} – დატვირთვის i -ურ და განტვირთვის j -ურ პუნქტს შორის მანძილია, კმ.

(3.65) ფორმულა შეიძლება გარდავქმნათ შემდეგი სახით:

$$K^{mp}=K^Q\gamma_{\theta}\beta \quad (3.66)$$

სადაც β – გარბენის გამოყენების კოეფიციენტი;

γ_{θ} – ტვირთამწეობის გამოყენების დინამიკურობის კოეფიციენტი;

K^Q – კუთრი ტვირთამწეობის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია:

$$K^Q = \frac{Q_a}{C_{CH}} \quad (3.67)$$

სადაც Q_a – ავტომობილის ტვირთამწეობაა, ტ.

შემოთავაზებული კოეფიციენტი K^{mp} არის მოხერხებული უგანზომილებო კოეფიციენტი, რადგან ის არ არის დამოკიდებული მოძრაობის სიჩქარეზე, დროზე და მარშრუტის სიგრძეზე. უნდა აღინიშნოს, რომ მისი მაქსიმალური მნიშვნელობა მიიღება ქანქარისებურ მარშრუტზე, როცა უკუგარბენა არის ტვირთიანი $\gamma_{\theta} \cdot \beta = 1$.


$$K^{mp}=K^Q \quad (3.68)$$

მიღებული ტოლობა ადასტურებს არჩეული მიდგომის სამართლიანობას. გარდა ამისა, კუთრი ტვირთამწეობის კოეფიციენტის გაზრდა ეფექტურს ხდის გადაზიდვის პროცესს. რაც პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს, რომ სასურველია გადავზიდოთ რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ტვირთი მცირე მასის მქონე ავტომობილებით.


აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე სხვადასხვა მარკის ავტომობილები სხვადასხვა საწვავის ხარჯით ერთეულ ტვირთზე. გრაფიკები მოყვანილია ნახ.3.17 და 3.18. საანგარიშო სიდიდეებად შეიძლება გამოვიყენოთ: H_s – გამართულ მდგომარეობაში საწვავის ხარჯის საბაზო ნორმა, ლ/100კმ; H_w – სატრანსპორტო მუშაობაზე საწვავის ხარჯვის ნორმა, ლ/100ტ.კმ.

გრაფიკებიდან ჩანს, რომ ტვირთამწეობის გაზრდით (მათ შორის მისაბმელების გამოყენებით) საწვავის ხარჯი ერთეულ ტვირთზე მცირდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ წრიულ მარშრუტებზე გადაზიდვის ეფექტურობის შეფასებისათვის უმჯობესია გამოვიყენოთ მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს გამართული სატრანსპორტო საშუალების მასას. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე მოცულობის სამუშაო შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა დროში სხვადასხვა სიმძლავრის ავტომობილებით. შესაბამისად მწარმოებლურობა და საწვავის ხარჯი იქნება სხვადასხვა. გაანგარიშების არსებული მეთოდიკა არ ითვალისწინებს

აღნიშნულ გარემოებას. იმის გამო, რომ საწვასი ფასი განუხრელად იზრდება, ცხადია, რომ ავტომობილის გადაადგილებაზე გაწეული ხარჯი სწრაფად იზრდება. შექმნილი მდგომარეობა საჭიროს ხდის შეიცვალოს გადაზიდვის პროცესის შეფასებისადმი მიდგომა. ამრიგად, მწარმოებლურობის გაანგარიშების მეთოდიკა საჭიროებს სრულყოფას.



ნახ.3.17. საწვავის ხარჯის დამოკიდებულება (1 ტ. ტვირთზე) ხვედრითი ტვირთამწეობის კოეფიციენტზე



ნახ.3.18. საწვავის ხარჯის დამოკიდებულება ავტომობილის ტვირთამწეობაზე მექანიკის კლასიკური კურსიდან ცნობილია, რომ სიმძლავრე (ჩვენს შემთხვევაში მწარმოებლურობა) გამოისახება ფორმულით:

$$W = \frac{P^{pm}}{t} \quad (3.69)$$

თუ გამოვიყენებთ (3.65), გამოვთვლით მოძრავი შემადგენლობის მწარმოებლურობას ტონა-კილომეტრებში:

$$W = \frac{P^{pm}P^{abm}}{t} = \frac{K^Q \gamma_{\beta}}{\frac{L}{V_T} + t^{np}} P^{abm} \quad (3.70)$$

სადაც V_T – ტექნიკური სიჩქარეა, კმ/სთ;

t^{np} – დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების დრო, სთ;

t – გზობის შესრულების დრო.

თუ სატრანსპორტო მოძრავი შემადგენლობის მწარმოებლურობას ტონა-კილომეტრებში გავყოფთ მუშაობაზე, რომელიც იხარჯება ავტოსატრანსპორტო საშუალების გადასადგილებლად, მივიღებთ მწარმოებლობის ფარდობით კოეფიციენტს (სთ⁻¹)

$$K^W = \frac{K^{mp}}{t} = \frac{K^Q \gamma_{\beta}}{\frac{L}{V_T} + t^{np}} = \frac{P^{mp}}{P^{abt} t} \quad (3.71)$$

მიღებული ფორმულის ანალიზიდან ჩანს, რომ რაც უფრო დიდია K^W -ს მნიშვნელობა, მით უფრო დიდია ავტომობილის ფარდობითი მწარმოებლურობა.

ამრიგად, ის ითვალისწინებს ავტომობილის წონას დატვირთულ მდგომარეობაში და მის მუშაობას.


ცნობილია, რომ ყველაზე მაღალი მწარმოებლურობა მიიღწევა ქანქარისებურ მარშრუტებზე უკუ ტვირთიანი გარბენის შემთხვევაში, როცა $\gamma_{\beta} = \gamma_c \beta = 1$, მაშინ (3.71)-დან ვპოულობთ:

$$K^W = \frac{K^Q}{\frac{L}{V_T} + t^{np}} \quad (3.72)$$

(3.72)-დან ჩანს, რომ რაც მეტია კუთრი ტვირთამწეობა, მით მეტია მწარმოებლურობა. აღნიშნული კარგად მტკიცდება მაღალი ტვირთამწეობის ავტომობილების და მისაბმელების გამოყენების შემთხვევაში. ამასთან ერთად, მწარმოებლურობა შეიძლება გავზარდოთ მარშრუტის სიგრძის ან დატვირთვა-განტვირთვის დროის შემცირებით. (3.71) ფორმულა უნივერსალურია და შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი მარშრუტის შემთხვევაში. კერძოდ, მწარმოებლურობის გაზრდისათვის უნდა მივისწრაფვოდეთ იქეთ, რომ გავზარდოთ კოეფიციენტი K^{mp} და შევამციროთ გზობის დრო.

